შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№25(9.935)

25 ივლისი- 1 აგვისტო 2020 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ახალი საზოგადოებრივი ცენტრი - დედოფლისწყაროს

დედოფლისწყაროს მალე ახალი საზოგადოებრივი ცენტრი ექნება. პროექტის განხორციელება აქტიურ ფაზაშია შესული. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოადგილესთან, დავით ფხოველიშვილთან და მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელთან, პავლე თავაძესთან ერთად ქ. დედოფლისწყაროში მიმდინარე საზოგადოებრივი ცენტრის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა.

ინფრასტრუქტურული პროექტის დასრულების შემდეგ, დედოფლისწყაროელებს სახელმწიფო და კერძო სექტორის სერვისებით ერთ სივრცეში სარგებლობის საშუალება ექნებათ.

მოქალაქეები ადგილზე მიიღებენ „ლიბერთი ბანკისა“ და „მაგთიკომის“ მომსახურებასაც. ცენტრში იმუშავებს ბიბლიოთეკა და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საკონფერენციო დარბაზი.

ქ. დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ცენტრი შირაქის ქუჩის N1 შესახვევში შენდება და ის უახლოეს მომავალში დასრულდება. პროექტის საერთო ღირებულება 800 000 ლარს შეადგენს.

C M Y K

,,დედოფლისწყაროში სასმელი წყლის პრობლემა მალე წარსულს ჩაბარდება“



დედოფლისწყაროში სასმელი წყლის პრობლემა წარსულს ჩაბარდება- ეს იმედისმომცემი გზავნილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს, ნიკოლოზ ჯანიაშვილს ეკუთვნის. მან განაცხადა, რომ დედოფლისწყაროში წყლის დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით მდინარე ივრიდან წყლის რესურსის შევსების პროექტზე საქართველოს მთავრობამ ტენდერი უკვე გამოაცხადა.

საქართველოს რეგიონებში გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ ტენდერი გამოაცხადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების — ხორნაბუჯისა და სამრეკლოს წყლის სისტემების რეაბილიტაცია-მშენებლობის საპროექტო სამუშაოებზე.

დაგეგმილ პროექტში სრულად იქნება გათვალისწინებული ქსელის მშენებლობისთვის საჭირო სამუშაოები. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ დეტალური პროექტირება 8 თვეში უნდა განახორციელოს. შესყიდვის სავარუდო ღირებულება 690 000 ლარია.

ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, ამ პროექტის განხორციელების შემდეგ, დედოფლისწყაროელებს 24-საათიანი წყალმომარაგება ექნებათ.

თუშეთში ტურისტული სეზონი გაიხსნა

მსოფლიო პანდემიიდან გამომდინარე, თუშეთში არსებულმა სასტუმროებმა წინასწარ გაიარეს ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციებით გათვალისწინებული რეგულაციები და ვიზიტორთა მიღება დაიწყეს. გასულ წელთან შედარებით, ტურისტების რაოდენობამ მნიშვნელოვნად იკლო, საზღვარგარეთიდან ჯავშნები გაუქმდა და ძირითადად ქართველი ან საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელი ვიზიტორები სტუმრობენ თუშეთს. მიმდინარე წელს, 600-მდე ვიზიტორმა უკვე მოინახულა თუშეთი, აქედან უცხოელი ტურისტი მხოლოდ რამდენიმე ათეულია.

საცხენოსნო და საფეხმავლო ტურები, სათავგადასავლო და გასტროტურები, ეს ის მცირედი ჩამონათვალია, რასაც თუშეთში ჩასულ ტურისტებს სთავაზობს ეს უნიკალური კუთხე, თავისი თვითმყოფადობით, ავთენტური და განუმეორებელი ბუნებით. კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის, ირაკლი ქადაგიშვილის განცხადებით, მთავრობას დაწყებული აქვს მუშაობა თუშეთში საბაგიროს მშენებლობის პროექტზე, რომლის კონტურები უკვე არსებობს და პერსპექტივაში ეს პროექტი რეალიზებული გახდება.



ინფრასტრუქტურული პროექტები გრძელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, პავლე თავაძესთან ერთად სამრეკლოში, ზემო ქედში, არხილოსკალოში, ქვემო ქედში, სამთაწყაროში, ფიროსმანსა და საბათლოში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა.

წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში როგორც ადგილობრივი , ასევე ცენტრალური ბიუჯეტიდან არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ღონისძიება ხორციელდება. მათ შორის იგება შიდა საავტომობილო გზები, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მონტაჟდება სველი წერტილები, შენდება საბავშო ბაღები, სპორტული მოედნები, ეწყობა დასასვენებელი პარკები, მონტაჟდება საბავშვო გასართობი ატრაქციონები და სხვა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, მიმდინარე წელს დაგეგმილი პროექტების განხორციელება აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს, ზოგიერთი მათგანი კი უახლოეს პერიოდში დაიწყება. თითოეულ მათგანს მერია მკაცრ მონიტორინგს უწევს, რაც მათი შესრულების ხარისხს კიდევ უფრო აუმჯობესებს.

ეპიდსიტუაცია დამძიმდა,ყარაჯალა ჩაიკეტა

24 ივლისის მონაცემებით, საქართველოში კორონავირუსის 19 ახალი შემთხვევა გამოვლინდა და ჯამში, ინფიცირებულთა რაოდენობა 1104-მდე გაიზარდა. ამის შესახებ ინფორმაცია მთავრობის მიერ შექმნილ სპეციალურ ვებ-გვერდზე Stopcov.ge გავრცელდა.

რაც შეეხება გამოჯანმრთელებულებს, მათი რიცხვი 1-ით გაიზარდა და 912-ს შეადგენს. უცხოეთიდან სამკურნალოდ გადმოყვანილია საქართველოს 41 მოქალაქე. კორონავირუსის შედეგად ქვეყანაში 16 პაციენტი გარდაიცვალა. კარანტინის რეჟიმში 5936 მოქალაქე იმყოფება. **„ინფექციური საავადმყოფოს კლინიკური დირექტორის მარინა ეზუგბაიას განცხადებით, 19 ახალი შემთხვევიდან 8 ლილოს ბაზრობას უკავშირდება, 5 გაჩიანიდან არის, 2 იმპორტირებულია, ერთი ინფიცირებული სამედიცინო პერსონალია, სამ შემთხვევაში კი ინფიცირების წყაროს მოკვლევა მიმდინარეობს. როგორც ეზუგბაიამ ჟურნალისტებს განუცხადა, კოვიდცენტრებში სულ 214 პაციენტი მკურნალობს. „8 შემთხვევა არის ლილოს ბაზრობიდან, 5 გაჩიანიდან, 2 შემთხვევა იმპორტირებულია, ერთ-ერთი აქედან არის სატვირთო ავტომობილის მძღოლი, 1 სამედიცინო პერსონალია და სამ შემთხვევაზე გრძელდება ეპიდემიოლოგიური კვლევა“**,- განაცხადა ეზუგბაიამ. უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მაღალი ეპიდემიოლოგიური რისკის გამო, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალაში საკარანტინო შეზღუდვები ამოქმედდა. სოფელ ყარაჯალის შესასვლელსა და გასასვლელში საკონტროლო გამშვები პუნქტები მოეწყო, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები საკარანტინო შეზღუდვებს 24 საათის განმავლობაში გააკონტროლებენ. სამართალდამცველების მიერ კონტროლდება სოფელთან მისასვლელი მეორეხარისხოვანი გზებიც, რომელთა მუდმივი მონიტორინგი მობილური ჯგუფების მეშვეობით ხორციელდება. გარდა ცოცხალი ძალისა, საკარანტინო პერიმეტრის მუდმივი მონიტორინგის პროცესში პოლიციის შესაბამისი დანაყოფების მიერ გამოიყენება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დრონები. შინაგან საქმეთა სამინიტროს თანამშრომლები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დასაცავად სოფელში ინტენსიურად პატრულირებენ. სამართალდამცველები ადგილობრივ მოსახლეობას საკარანტინო შეზღუდვების შესახებ ინფორმაციას აწვდიან და საჭიროების შემთხვევაში მათ მაქსიმალურად დაეხმარებიან. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. ცნობისთვის, ბოლო რამდენიმე დღეა, გარდაბნის სოფლებში ეპიდემიოლოგები მუშაობენ.

კახეთის რეგიონში, 3 საკარანტინო სივრცეში იმყოფება 122 მოქალაქე. თვითიზოლაციაში იმყოფება 23 მოქალაქე, მოიხსნა 4 მოქალაქე. მიმდინარეობს 15 ივნისს მიღებული საქართველოს მთავრობის განკარგულება № 975-ის შესაბამისად განსაზღვრული სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებული პრიორიტეტული პირების ტესტირება. კახეთის რეგიონში თვის განმავლობაში დაგეგმილია 8000-დან 9000-მდე ტესტირების ჩატარება. **22 ივლისს აღებული და გაგზავნილი იქნა ლუგარის ცენტრში 217 ნიმუში. ყველა ნიმუშის ტესტირების შედეგი ცნობილია და ნეგატიურია. რაც შეეხება სოფელ ყარაჯალის დადასტურებულ შემთხვევას, ბავშვის მდგომარეობა კარგია, ბოლო ტესტირების შედეგი უარყოფითია. ბავშვი გამოწერილია საავადმყოფოდან და დედასთან ერთად იმყოფება კარანტინში. არცერთ კონტაქტში მყოფ პირს კორონა ვირუსული ინფექციის არსებობა არ დაუდასტურდა. ყარაჯალაში ეპიდსიტუაცია მშვიდია და კონტროლს ექვემდებარება.**

სულ კახეთის რეგიონში აღებული და ლუგარის ცენტრში გაგზავნილია 9274 ნიმუში, აქედან 3475 მედპერსონალია, 2099 კარანტინის ვიზიტორების და სასტუმროს პერსონალი, შშმ პირი -406 , ტრაილერის მძღოლი 44, საქალაქო ტრანსპორტის მძღოლი 157, შსს- 539.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სიტუაცია სტაბილურია. დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის, მარიეტა გონაშვილის ინფორმაციით, 24 ივლისის მდგომარეობით, თვითიზოლაციაში იმყოფება 3 მოქალაქე. გრძელდება რისკ-ჯგუფში შემავალი ადამიანების ტესტირების პროცესი.

სახელისუფლებო კანდიდატის წარმატების ფორმულა

გურჯაანის, საგარეჯოს, სიღნაღის და დედოფლისწყაროს მაჟორიტაროგის კანდიდატოგისთვის დავით სონღულაშვილი, ხოლო თელავი, ახმეტა, ლაგოდეხისა და ყვარლის მაჟორიტაროგისთვის კახეთის მოქმედი გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი იბრძოლებს. ამის შესახებ კოჯორში 20 ივლისს „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენისას ირაკლი კოგახიძემ განაცხადა.

საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილების შედეგად, კახეთში მხოლოდ ორი მაჟორიტარული ოლქი შეიქმნა.

ქართული ოცნების მიერ კახეთში წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის ერთ-ერთი კანდიდატი **დავით სონღულაშვილი**, რომელიც ამჟამად გურჯაანის მოქმედი მაჟორიტარია და მომავალი მოწვევის პარლამენტში ოთხი მუნიციპალიტეტის ინტერესებს დაიცავს, ამომრჩეველს საგანგებო განცხადებით მიმართავს და ღია წერილს ავრცელებს. დავით სონღულაშვილი საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს ერთიან მაჟორიტარულ ოლქში იყრის კენჭს.

„ჩემო დედოფლისწყაროელებო, საგარეჯოელებო, სიღნაღელებო და გურჯაანელებო!

ჩემთვის პატივი და დიდი პასუხისმგებლობაა, რომ თქვენი მხარდაჭერის შემთხვევაში, ოთხი წლის განმავლობაში წარმოვადგენდე თქვენს ხმას საქართველოს პარლამენტში.

მე-9 მოწვევის პარლამენტში წარმოვადგენდი გურჯაანს და საზოგადოების მხარდაჭერით, თვალსაჩინო და ხელშესახებ შედეგებს მივაღწიეთ.

წარმატების ფორმულა ბევრ ფაქტორს უკავშირდება. წლობით დაგროვებულ პოზიტიურ გამოცდილებას, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კოორდინირებულ საქმიანობას, „ქართული ოცნების“ სწორ სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას და სტრატეგიას, ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და კონკურენციის წახალისებას.

მინდა, მადლობა გადავუხადო გურჯაანელებს გვერდში დგომისთვის, მუნიციპალიტეტისა და სოფლების სწორი საჭიროების შეფასებისთვის, ჩართულობისთვის და თანამონაწილეობისთვის.

წელგამართული ვხვდები ახალ გამოწვევას - ვიყო კახეთის მნიშვნელოვანი ნაწილის, ოთხი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი.

მე მჯერა, რომ მზად ვარ ამ გამოწვევისთვის!

მე მჯერა, რომ გავიმარჯვებ დიდი უპირატესობით და მექნება უზარმაზარი მხარდაჭერა!

მე მჯერა, რომ სწორი პოლიტიკით, სწორი სტრატეგიით და სწორი თანამშრომლობით, ჩვენ ერთად შევქმნით ევროპული ტიპის თვითმმართველობასა და მუნიციპალიტეტებს!

თითოეული ოჯახის, თითოეული მოქალაქის საკეთილდღეოდ!

ერთად საქართველოს წარმატებისთვის! “- წერს სონღულაშვილი.

„ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი დავით სონღულაშვილი თვლის, რომ მმართველმა გუნდმა მაჟორიტარობის კანდიდატების განახლებული შემადგენლობა წარადგინა. კითხვაზე, დასახელებული 30 კანდიდატიდან რომელი იყო ახალი სახე, სონღულაშვილმა უპასუხა, რომ რამდენიმე მათგანი პარლამენტის წევრი აქამდე არ ყოფილა.

„ქართულ ოცნებას“ ახალი სახეების დეფიციტი არ აქვს. პირიქით, სამაჟორიტარო და საპარლამენტო ცხოვრების ნაწილში აბსოლუტურად განახლებული გუნდი იქნება. ცხადია, გუნდი კიდევ ფართოვდება, დამატებით შემადგენლობას იხილავთ უკვე სიაში, თუმცა სამაჟორიტარო ნაწილში ძალიან დიდი ნაწილი განახლებულია. მაშინ მე გკითხავთ შემდეგნაირად: წარდგენილი კანდიდატებიდან რამდენი იყო უკვე პარლამენტის წევრი? მერებისა და გუბერნატორების მაჟორიტარობის კანდიდატებად წარდგენა ნიშნავს, რომ მათ ძალიან დიდი მხარდაჭერა აქვთ, “ - განაცხადა სონღულაშვილმა.

მისივე განცხადებით, მაჟორიტარობა არ არის მარტივი და ეს პოზიცია საკმაოდ საპასუხისმგებლოა.

„მაჟორიტარი დეპუტატობის 30-ვე კანდიდატი არის უალტერნატივო და საზოგადოების ძალიან დიდი მხარდაჭერა აქვს. ყველა კანდიდატის შერჩევის პირველი კრიტერიუმი არის პროფესიონალიზმი, თავისი საქმის ერთგულება და ქვეყნის ერთგულება. მინდა, გუნდს ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ნდობის გამოცხადებისთვის. მაჟორიტარი დეპუტატობა არ არის მარტივი. ეს საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობაა საზოგადოების წინაშე. ეს საჭიროებს 24/7-ზე შრომას. აქედან გამომდინარე, მინდა მადლობა გადავუხადო, რომ ჩემი კანდიდატურა ასეთ საპასუხისმგებლო პოზიციაზე დასახელდა. მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ იმ საზოგადოების ნდობა გავამართლო, ვინც არჩევნებში მხარს დამიჭერს,“ - განაცხადა სონღულაშვილმა.

სახელისუფლებო პარტიამ მაჟორიტარობის კანდიდატები უკვე წარადგინა. ახლა ჯერი ოპოზიციურ პოლიტიკურ გაერთიანებებზეა.

საქართველოს 4 რეგიონს 5 მილიონი ლარი გადაეცა

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში 4 მუნიციპალიტეტს 5 მილიონი ლარი გადაეცა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა ავრცელებს.

უწყების ცნობით, კახეთის, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის ინტეგრირებული განვითარების მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, ადგილობრივი ინფრასტრუქტურისა და ბიზნესის განვითარებისთვის 11 მუნიციპალიტეტს 5 მილიონი ლარის გრანტი გადაეცა.

„საქართველოს მთავრობამ, ევროკავშირის დაფინანსებით, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, ადგილობრივი ინფრასტრუქტურისა და ბიზნესის განვითარებისთვის, პირველ 11 მუნიციპალიტეტს 5 მილიონი ლარის გრანტები გადასცა. ეს გრანტები მთავრობის 220 მილიონი ლარის საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების საგრანტო პროგრამის ნაწილია, სადაც 186 მილიონი ლარი ევროკავშირის დაფინანსება იქნება. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს დაბალანსებულ ტერიტორიულ განვითარებას და რეგიონებში მოსახლეობის ცხოვრების პირობების და სტანდარტების გაუმჯობესებას, ინკლუზიური და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური ინიციატივების განხორციელების გზით. საგრანტო პროგრამა გულისხმობს მიზნობრივი ღონისძიებების დაფინანსებას საქართველოს ოთხ რეგიონში: კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი,“ - აცხადებენ ევროკავშირის წარმომადგენლობაში.

ცნობისთვის, გრანტები პროგრამის პირველი ფაზის ნაწილია, რომელიც 2020 წლის ივნისში დაიწყო, როცა საპილოტე რეგიონების მუნიციპალიტეტებისთვის პირველი საგრანტო კონკურსი გამოცხადდა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის ფორმატში, საგრანტო პროგრამის კონკურსის შედეგები 8 ივლისს

გამოავლინა. 5 მილიონი ლარის ფარგლებში დაფინანსება მოიპოვეს ვანის, საჩხერის, ტყიბულის, სამტრედიის, ბაღდათის, ცაგერის, საგარეჯოს, თელავის, ახმეტის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებმა.

„დღეისათვის უმნიშვნელოვანესია ასეთი შინაარსის პროგრამების განხორციელება. ამ ფორმატის დახმარება, რომელსაც ევროკავშირი გვთავაზობს მომდევნო 3 წლის განმავლობაში, არის ახალი და ზუსტად ეხმიანება ევროპული სტანდარტის რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პრინციპებს. ამ პროგრამით, ევროკავშირთან თანამშრომლობა თვისობრივად ახალ და მნიშვნელოვან ეტაპზე გადადის, რაც ვფიქრობ, ასევე გულისხმობს ევროკავშირის მხრიდან საქართველოს მიმართ სანდოობის ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებასა და განმტკიცებას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამას ასევე შემოაქვს მუნიციპალიტეტებს შორის კონკურენტული ურთიერთობების ჩამოყალიბების პრინციპები, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია დეცენტრალიზაციის პროცესში და მუნიციპალურ დონეზე ახალი უნარების გაჩენა-გაძლიერებაში,“ - აღნიშნა საქართველოს ვიცე-პრემიერმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა.

კონკურსის ფარგლებში წარდგენილი მუნიციპალური პროექტების შეფასება და შერჩევა განხორციელდა შესაბამისი რეგიონების სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ, რომელთა შემადგენლობაშიც შედიან სახელმწიფო რწმუნებული და ყველა შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე. საბჭოების საქმიანობაში, ასევე ჩართული არიან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ბიზნესის წარმომადგენლები. პროგრამის ფარგლებში მიღებული დაფინანსება აღნიშნულ მუნიციპალიტეტებს შესაძლებლობას მისცემს განახორციელონ მნიშვნელოვანი პროექტები სხვადასხვა მიმართულებით, როგორიცაა: მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა, ძირითადი ინფრასტრუქტურის და მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება, ადამიანური კაპიტალის, საგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერება, სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანობის გაუმჯობესება და სხვა. ეს ინიციატივები, ევროკავშირის სხვა მიმდინარე სექტორულ პროგრამებთან და პროექტებთან ერთად, ხელს შეუწყობს მიზნობრივ რეგიონებში ინვესტიციების და დასაქმების ზრდას.

საქართველოს რეგიონული პოლიტიკის განვითარება, ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს. 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა, რომელიც თანადაფინანსებულია ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების სქემით, საქართველოს მთავრობამ 2019 წლის 20 დეკემბერს დაამტკიცა. საპილოტე რეგიონების პროგრამა ევროკავშირის ექსპერტების ჩართულობით შემუშავდა და იგი ევროკავშირის რეგიონული განვითარების პოლიტიკის უახლეს მიდგომებს ეფუძნება.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის პროგრამა პირველად საქართველოში ხორციელდება.

ფემიციდის ქართული რეალობა

ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმა არსებობს - დაწყებული ვერბალური შეურაცხყოფისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის განსხვავებული ფორმებიდან, ყოველდღიური ფიზიკური და სექსუალური ზეწოლით დამთავრებული. ძალადობის ფორმების ყველაზე სასტიკი ფორმა კი ფემიციდია: ქალთა მკვლელობა.

საქართველოში, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევად რჩება გენდერული თანასწორობის მიღწევა. საზოგადოება კვლავ ცხოვრობს სტერეოტიპულ გარემოში, სადაც, უმრავლეს შემთხვევაში, ქალის მიმართ ოჯახში ძალადობა გამართლებული ქმედებაა. ქალის მიმართ ძალადობა ქმედებების ფართო სპექტრს მოიცავს - დაწყებული სიტყვიერი შევიწროებით და ემოციური ძალადობის სხვა ფორმებით, დამთავრებული ყოველდღიური ფიზიკური ან სექსუალური ძალადობით. აღნიშნულ ქმედებებს კი ბოლოს მივყავართ ქალთა მკვლელობამდე, ანუ ფემიციდამდე. ფემიციდის მსხვერპლი ქალების 70% სიკვდილამდე განიცდიდამათი მკვლელი პარტნიორების მიერ ფიზიკურ ძალადობას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მსხვერპლის მიმართ ძალადობა არის ფემიციდის უპირველესი რისკ-ფაქტორი. შემაშფოთებელია აგრეთვე ის ფაქტი, რომ რიგ შემთხვევებში, მსხვერპლს შესაბამისი რეაგირების თხოვნით სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის ინციდენტამდე ჰქონდა მიმართული. საზოგადოების გულგრილ დამოკიდებულებასთან ერთად, მთავარ გამოწვევას დაცვისა და დახმარების ღონისძიებების არაეფექტური გამოყენება წარმოადგენს. ხშირად, ძალადობის მსხვერპლ ქალთა დასაცავად არ ხდება იმ მექანიზმების გამოყენება, რომელიც კანონით არის გათვალისწინებული და, შესაბამისად, მათი თხოვნა დახმარების თაობაზე სამართალდამცავების მხრიდან უგულებელყოფილი რჩება.

რატომ კლავენ ქალებს და რატომ მომრავლდა ფემიციდის ფაქტები ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყანაში?

კითხვა ქუჩაში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში განხილვის საგანია. ადამიანთა უმრავლესობა ქალზე ძალადობას სოციალური სიდუხჭირით ხსნის. საზოგადოების ნაწილი კი ქალზე ძალადობას დაბალი ცნობიერებით ხსნის. „ის, რომ კაცი საკუთარი ძალების დემონსტრირებას ცდილობს, განათლების ნაკლებობის ბრალია“ - ამბობენ მოქალაქეები. ფემიციდის გახშირებულ ფაქტებს მოქალაქეთა ნაწილი კაცების სტერეოტიპულ აზროვნებასა და მათ დამოკიდებულებასაც უკავშირებს. მოქალაქეთა ერთი ნაწილისთვის კი მიზეზი დაუსჯელობის სინდრომია, ზოგიერთისთვის - ქალთა მხრიდან უფლებების არცოდნა, ნაწილისთვის კი კაცებში ფსიქოლოგიური პრობლემების არსებობა. ნაწილმა მიზეზი არ იცის და ვერც ხსნის, თუმცა, ქალზე ძალადობას და ფემიციდს არ ამართლებს.

როგორ აისახა ქალთა მიმართ ძალადობა ციფრებში?

სტატისტიკა შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკუთვნის. როგორც ირკვევა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქვეყნის მასშტაბით გასულ წელს 17 594 პირია. განსხვავებულ რეალობაზე რიცხვები მეტყველებს: აღნიშნული რაოდენობიდან 16 033 ქალია, ხოლო კაცი ათას 561.

ფემიციდის გახშირებულ შემთხვევებს სახალხო დამცველი აფასებს. ომბუდსმენის განცხადებით, წელს, ფემიციდის შემთხვევების საგანგაშო სტატისტიკაა.ნინო ლომჯარიას განცხადებით, ის, რაც სახელმწიფოს მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის კეთდება, საკმარისი არაა: **„არ არის საკმარისი ის ფრაგმენტული ძალისხმევა, რაც სახელმწიფოს მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის ხორციელდება! ასევე, მეტია გასაკეთებელი განათლების, საზოგადოებაში მყარად გამჯდარი სტერეოტიპების შეცვლის, მსხვერპლთა მხარდაჭერისა და ეკონომიკური გაძლიერების, ფემიციდის ფაქტების გენდერულად მგრძნობიარე მიდგომებით გაშუქების მიმართულებით!“** - წერს ლომჯარია.

ტერმინი „ფემიციდი“ მე-19 საუკუნიდან მოდის. ყველაზე გავრცელებული განმარტების მიხედვით, ფემიციდი არის „კაცების მიერ ქალების მკვლელობა იმიტომ, რომ ისინი ქალები არიან“. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, მსოფლიოში აღრიცხული მოკლული ქალების 35% ინტიმური ფემიციდის მსხვერპლია.საქართველოში ფემიციდის შედეგად დაღუპული ქალების ისტორიები ძალიან ჰგავს ერთმანეთს - ნაადრევად შექმნილი ოჯახი, ეჭვიანობა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელსაც ქალები წლების განმავლობაში ითმენენ. სპეციალისტები ამბობენ, ქალთა მიმართ ასეთი დამოკიდებულების მიზეზი კომპლექსურია და რამდენიმე პრობლემას აერთიანებს. მათი თქმით, ერთ-ერთი მთავარი სამართალდამცავების მხრიდან ოჯახური ძალადობის ფაქტების მიმართ არასაკმარისი სერიოზულობაა. ამავე დროს შსს-ში აცხადებენ, რომ ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლა მათთვის პრიორიტეტია. შსს-ს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ სწორედ ამ უწყების მიერაა ინიცირებული 2018 წელს კანონმდებლობაში შესული ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, ოჯახური ძალადობის შემთხვევებზე სასჯელი გამკაცრდა. შსს-მ ასევე ჩართო ცხელი ხაზი, სადაც ოჯახური ძალადობის მსხვერპლს შეუძლია დარეკოს. ასევე მოქმედებს სახელმწიფო თავშესაფარი, სადაც მსხვერპლ ქალებს შეუძლიათ თავი შეაფარონ ექვსი თვით. თუმცა, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, სამართალდამცავები ხშირად ვერ იცავენ მოძალადისგან მსხვერპლს, რომელმაც მათ დახმარებისთვის მიმართა. ფემიციდის კვლევამ ცხადყო, რომ როგორც წესი, ქალის მკვლელობას წინ ყოველთვის უძღვის მასზე მრავალჯერადი ფიზიკური და ემოციური ძალადობა. საკუთარი ქმრების ხელით დახოცილი ქალების დიდი ნაწილი ტრაგედიამდე მიმართავდა პოლიციას. ბევრ შემთხვევაში სამართალდამცავებმა იცოდნენ ძალადობის შესახებ, თუმცა ვერ დაიცვეს მსხვერპლი სიკვდილისგან.

გაზეთ „შირაქში“ დაიბეჭდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მეორე მოსმენით განიხილა და დაამტკიცა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში ელექტრონული სამაჯურების შემოღებას უკავშირდება. კანონპროექტი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და პაკეტის თანმდევი პროექტები შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორმა, ალექსანდრე დარახველიძემ წარადგინა.

„ბოლო პერიოდში შემაკავებელი ორდერების გამოცემის სტატისტიკა გაზრდილია. ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ საჭიროა უფრო მეტი ქმედითი მექანიზმის არსებობა პოლიციის ხელში, რათა დავიცვათ მსხვერპლი მოძალადის ძალადობისგან. სტატისტიკას თუ გადავავლებთ თვალს, დარღვევის შემთხვევებიდან დიდი ნაწილი მოდის სწორედ მიახლოების აკრძალვის კუთხით. კერძოდ, მოძალადეები უფრო ხშირად არღვევენ შემაკავებელი ორდერით დადგენილ პირობებს, როცა მათ აკრძალული აქვთ მსხვერპლთან მიახლოება, მსხვერპლის საცხოვრებელ, სამუშაო ადგილთან. სწორედ აღნიშნულის კონტროლის მიზნით შემოთავაზებულია ცვლილებათა პაკეტი, რომელიც მსს-ს მისცემს საშუალებას, ეფექტურად გააკონტროლოს მოძალადის მიახლოება მსხვერპლთან. ამისთვის შემუშავებული იქნა ელექტრონული ზედამხედველობის მექანიზმი“,- განაცხადა დარახველიძემ. ელექტრონული სამაჯური გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა პოლიცია შემაკავებელ ორდერს გამოწერს და სიტუაციის შეფასებისას ჩათვლის, რომ მსხვერპლის დასაცავად საჭიროა დამატებითი ღონისძიებები. მსს-ს წარმომადგენელი შესაბამის ოქმს შეადგენს, 24 საათის ვადაში კი სასამართლომ უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის შესახებ. სამაჯური შემაკავებელი ორდერის თანმდევია, შესაბამისად, ორდერის გარეშე, მას არ გამოიყენებენ. გამომდინარე იქედან, რომ შემაკავებელი ორდერი მაქსიმუმ, ერთ თვიანია, ელექტრონული სამაჯურის გამოყენების ვადაც, მაქსიმუმ, ერთი თვეა. თუმცა, პროექტის თანახმად, მოძალადეს ელექტრონული სამაჯური შეიძლება დაუმაგრდეს შემაკავებელი ორდერის მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს. ანუ, თუ თავდაპირველად პოლიციამ მხოლოდ ორდერი გამოწერა, შესაძლებელია ელექტრონული ზედამხედველობის შემდგომ დამატება, ოღონდ აუცილებლად, ორდერის მოქმედების ვადაში. ორდერის გაუქმება ინვევს ელექტრონული ზედამხედველობის მოხსნასაც. გამომდინარე იქედან, რომ ელექტრონული საშუალებების გამოყენება მსხვერპლის მხრიდანაც მოითხოვს გარკვეულ ქმედებებს, საჭიროა მისი თანხმობაც. ამ დროისთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო 100 ცალ ელექტრონულ სამაჯურს და 1000 სამაჯურზე გათვლილ სერვერსა და პროგრამას ფლობს. კანონპროექტის განმარტებით, ბარათში მითითებულია, რომ ერთი კომპლექტის ღირებულება 2820 დოლარია. ამასთან, თითო მოწყობილობის ხარჯი თვეში 10 ლარია. ყველა ეს ხარჯი 2020 წლის ჩათვლით დაფარულია გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მიერ, თუმცა, 2021 წლიდან ეს ხარჯი სახელმწიფომ უნდა გაიღოს.

და კიდევ...

პარტია „ქართულმა ოცნებამ“ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა მთელი ქვეყნის მასშტაბით. კანდიდატებს შორის არიან ფეხბურთელები, ექიმები, მომღერალი, მოქმედი პარლამენტარები, გუბერნატორები, ქალაქის მერები და ბიზნესმენები. მმართველი პარტიის მიერ წარდგენილი დეპუტატობის 30 კანდიდატიდან თბილისსა და საქართველოში მხოლოდ ერთი ქალია - ნინო ლაცაბიძე, თბილისის საკრებულოს მოქმედი წევრი, რომელიც რუსთავში იბრძოლებს მაჟორიტარობისთვის. იბრძოლებს ქვეყნისა და იმ ქალბატონებისთვის, რომელთა უფლებებიც სხვების თვალში მხოლოდ ყოველდღიურ ცხოვრებასთან და სახლის კარებთან მთავრდება. ფაქტი კი ფაქტად რჩება. იმაზე მეტი პრობლემა აქვთ ქალებს დღეს საქართველოში, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ანდაც არა... ეს ერთი შეხედვითაც ნამდვილად ჩანს.

ოჰ, ეს ადამიანები...

პატარა ვიყავი, როდესაც პაპა გარდაიცვალა. პირველად მაშინ დავდექი ამ ფაქტის წინაშე და შემეშინდა. ბებიაჩემმა რომ გაიგო მიცვალებულის მეშინოდა, მითხრა:-„შვილო, ცოცხალი ადამიანის უნდა გეშინოდეს, მიცვალებული ვეღარაფერს დაგიშავებსო.“ მაშინ, რა თქმა უნდა, ვერ მივხვდი ამ სიტყვების მნიშვნელობას, მაგრამ კარგად კი დავიმახსოვრე. და რაც დრო გადიოდა, ცხოვრება მიმტკიცებდა ამ დარიგებაში ჩადებული აზრის სინამდვილეს.

„**გონიერი ადამიანი (ლათ. Homo sapiens) - პრიმატების სახეობა, ჰომინიდების ჯგუფის, ადამიანთა მოდგმის წარმომადგენელია, რომელმაც დიდი ზეგავლენა მოახდინა დედამიწის ბიოსფეროს შექმნაში და შექმნა დედამიწის საკუთარი გარსი - ანთროპოსფერო. ადამიანების ერთობლიობას ეწოდება პოპულაცია ან კაცობრიობა. ინდივიდების ურთიერთობა ქმნის საზოგადოებას ან სოციუმს. ინფორმაცია, რომელიც ადამიანს მემკვიდრეობითი ნიშან-თვისების გზით გადაეცემა, ცირკულირებს საზოგადოებაში და წარმოქმნის ნოოსფეროს. საზოგადოების ყველა მატერიალური და ინფორმაციული საქმიანობა წარმოქმნის კულტურას. ადამიანი, როგორც ცოცხალ ორგანიზმთა 90%, იყოფა ორ სქესად: მამრი და მდედრი.**“ -ასე განიმარტება ადამიანი ლექსიკონში.

ზოგადად, ადამიანზე ყოველთვის საკმაოდ დადებითი წარმოდგენა მქონდა. მჯეროდა, რომ ის უბრალოდ გონიერი ცხოველი არ არის, მის მრავალ თვისებას აღფრთოვანებაში მოვყავდი, უარყოფითი თვისებებს კი ყოველთვის მეორე პლანზე ვაყენებდი და მიმაჩნდა, რომ ერთგვარი, გამოსწორებადი ხარვეზებია. თუმცა, დროთა განმავლობაში, ყველაფერმა იმან, რაც ჩემს ირგვლივ დავინახე და ვიგრძენი, საკმაოდ უსიამოვნო ჩიხში შემიყვანა. ეგ კი არა, მომენტებში საკუთარ თავშიც კი მეპარება ეჭვი. პირველი, რამაც დამაფიქრა, ქცევის მოტივებია. ადამიანები ეგოიზმის ზღვაში დაცურავენ ხანდახან გაუზრებლად, მაგრამ ხშირად — სრულიად გაზრებულადაც კი. უმეტეს შემთხვევაში ქცევას, საკუთარი კეთილდღეობა განსაზღვრავს. სიამოვნების მიღებისკენ სწრაფვა ლამის კულტად აქვთ ქცეული. ზნეობისა და მორალის საკითხის განხილვას ნამდვილად არ დავიწყებ, რადგანაც აქ ძალიან მყიფე ზღვარი გადის, რომლის დაცვაც ძალიან რთულია...ის, რასაც ბოლო დროს ვხედავ, რასაც ბოლო დროს მიყვებიან, რასაც ბოლო დროს ვგრძნობ, სულ უფრო და უფრო მაშორებს ჩემს ადრეულ წარმოდგენებს. ნუთუ ადამიანი ადამიანისთვის მგელია? გაცილებით ნაკლებ სიყვარულს, მეგობრობას და თავგანწირვას ვხედავ, ვიდრე უნინ. სამაგიეროდ ლამის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდები ორპირობას და სიცრუეს... მიზნის მისაღწევად სხვისი გადათელვა თურმე მართლაც არ წარმოადგენს პრობლემას. ყველაზე საშინელი კი იმის გააზრებაა, რომ მეც არ ვარ არაფრით უკეთესი. ადამიანობის მწვავე დეფიციტის წინაშე ვდაგავართ და ეს ჯერ ვერც კი გაგვიაზრებია. ვიცი, ადამიანები ხშირ შემთხვევაში იმაზე უარესები ვჩანვართო, ვიდრე სინამდვილეში ვართ, და ხშირად თავდადების მაგალითებიც მხოლოდ ლიტერატურასა და ფოლკლორში გვხვდება. საკმაოდ დიდი ხანია, დადებითს არაფერს გადავყრილვარ ცხოვრებაში, არ მიგრძვნია და არ განმიცდია ისეთი რამ, რაც გამათბობდა...ვგრძნობ, რომ ძალიან მომენატრა, ძალიან მომენატრა ისინი, ვინც უკვე ჩემს გვერდით აღარაა, და კიდევ უფრო მომენატრა ისინი, ვინც ჩემს გვერდზე არის...

ადამიანობა ცხოვრებაში სხვადასხვანაირად განისაზღვრება. შური, ბოღმა, შურისძიების წყურვილი, ბოროტება, სიძულვილი - აი რითი არის სავსე კაცობრიობის გული, იმის მაგივრად რომ ხალხის გონება,გული და სული სიკეთითა და სიყვარულით იყოს აღსავსე. პირდაპირი მნიშვნელობით რომ შევხედოთ, სიტყვა „ადამიანი“ არ ნიშნავს იდეალურ პიროვნებას. ადამიანს იმიტომ ჰქვია "ადამიანი" რომ ცოდვილი,უღირსი და უბადრუკია. უშეცდომო და იდეალური ვერ იქნება და არც უნდა ჰქონდეს ამის სურვილი. ჩვენ უნდა შევიძულოთ ცოდვები და არა ცოდვილი, რადგან ცოდვილები ჩვენც ვართ. უნდა გვყავდეს და თავზე მეტად გვიყვარდეს ჩვენი მეგობრები.ზოგი თვლის,რომ რადგან მეორე პიროვნებას დიდი ხანია იცნობს, ის მისი საუკეთესო მეგობარია. მეგობრობა იმას კი არ ნიშნავს, ვინ გაიცანი ყველაზე ადრე და ვინ გვიან,მთავარია, ვინ გაიცანი და არასდროს მიუტოვებიხარ! როგორც ზემოთ ვახსენე, ადამიანობა სხვადასხვა კუთხით განისაზღვრება.ესენია: უპირველესად უფლის სიყვარული,მოყვასის სიყვარული,მეგობრობა,ცხოვრების წესი და ა.შ. მე არავის განვიკითხავ და ვერავის განვსჯი,უბრალოდ ზოგიერთს „ადამიანი“ მხოლოდ ვიზუალური ეფექტისთვის და ხორციელი სახით ჰქვია,მაგრამ მის სულში,გულში და გონებაში რომ ჩავიხედოთ, იქ მხოლოდ არაადამიანური აზრებია. ჩემი აზრით საინტერესო კითხვაა: რას აფასებს საზოგადოება ადამიანში ყველაზე მეტად?გაინტერესებთ ჩემი პასუხი?-"ადამიანობას"! ჰო, აი ზუსტად მას ვაფასებ. ზოგი ფიზიკურ სილამაზეს ანიჭებს უპირატესობას. გიყვარდეს ადამიანი სილამაზისთვის,ეს იგივეა,გიყვარდეს წიგნი ლამაზი ყდისთვის, რომლის შინაარსი ჯერ არ იცი.

„ადამიანი მიჩვეულია შაბლონებით აზროვნებას.ჩვენ თვითონ სიმარტივისთვის ვქმნით შაბლონებს და მერე ისე ვეპყრობით, თითქოს ღვთით დაწესებული კანონი იყოს.რა მოეთხოვება კაცს? ან ვისგან მოეთხოვება? კაცი იმას აკეთებს, რაზედაც სინდისი გაწვდება. სინდისს კი ყველა საკუთარი მტკავლეთ ზომავს“ - თქვა ჯემალ ქარჩხაძემ და ამ სიტყვებში თითქოს მთლი კაცობრიობის სამოქმედო გეგმა დაწერა. ცუდი განათლების, ცრურწმენების, არასაკმარის ფაქტებზე დაყრდნობილი ინფორმაციისა თუ სხვა მიზეზების გამო, ადამიანებს ხშირად სამყაროსა და მასში მიმდინარე პროცესებზე არასწორი წარმოდგენა აქვთ ხოლმე და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამ წარმოდგენებს ისე ეჭიდებიან, როგორც საკუთარი სხეულის ნაწილს. ძალიან რთულია ადამიანს ასეთი ჩაბეტონებული წარმოდგენა შეუცვალო. მითუმეტეს რთულია ამის გაკეთება მყისიერად - თითქმის არავინ იცვლის საკუთარ აზრს შენი თანდასწრებით. მხოლოდ იშვიათად, გამონაკლის ადამიანებს აქვთ იმდენი თვითკრიტიკა, რომ საკუთარ საღ აზრს მაინც დაუჯერონ, როდესაც ვინმე აჩვენებს, რომ ამა თუ იმ მოვლენაზე აქამდე არასწორი შეხედულება ჰქონიათ.

„ჩვენი საზოგადოებრივი და პოლიტიკური სივრცე თანდათან დაიცალა ზნეობრივი პრინციპებისა და რაციონალური ხედვისაგან. ამის გამო ყველა კეთილშობილ და აზრიან ადამიანს კარგა ხანია სული ეხუთება, განსაკუთრებით წესიერ ახალგაზრდებს. ვეღარსად ხედავენ მორალური სიტყვის გამოსხივებას. განსაცვიფრებელია უღმერთობის მასშტაბები, რისი უდიდესი გამოვლენაც ფსევდორელიგიურობაა. ფარისევლობა ჩვენი საზოგადოების ცემენტად იქცა. ხალხს არაფრის არ ეშინია.“ ამ ნათქვამით , ნაირა გელაშვილმა გვითხრა, რომ ადამიანად დარჩენის მთავარი ფაქტორი მხოლოდ შიშია! შიში უფლის ან კანონის უზენაესობის წინაშე. ვისთვის რომელი გზაა მისაღები, ეს თითოეული ადამიანისათვის სუბექტური არჩევანია.

როდესაც ვცდილობთ ვიცხოვროთ ადამიანურად, ეს უკვე დიდი, წინ გადადგმული ნაბიჯია... თუ მარტო საკუთარ თავზე ფიქრში არ გადის ცხოვრება, თუ ვიზრუნებთ სხვაზეც, მივიტანთ ყველა ჩვენი თვალით ხილულ პრობლემას გულთან, და ზოგჯერ ერთი, დროულად ნათქვამი სიტყვით შევძლებთ თანადგომას, იქნებ შევძლოთ დავრჩეთ ადამიანებად? დღეს დარჩე ადამიანად, დიდი სულიერი სიძლიერე და გმირობის ტოლფასია. აქვე მოვიშველიებ კანტის სიტყვებს : ,,სულიერი ბედნიერების ორი სახეობა არსებობს: სულის სიმშვიდე (სუფთა სინდისი) და მუდამ მხიარული გული. პირველი,უდანაშაულობის შეგრძნების ტოლფასია, მეორე კი ბუნების საჩუქარი." და ისევ ჩუმი ფიქრები: ვინ არის ადამიანი, რისთვის ვჩნდებით ან რატომ ვკვდებით. რა ჰქვია დაბადების პირველ წამს და უკანასკნელ ამოსუნთქვას შორის გაბნილ წლებს...იქნებ ღირდეს დაფიქრებად?

გვერდი მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

ციფრული სამყაროს ცვლილებების კვალდაკვალ

„ციფრული სამსახურები მართავენ მსოფლიო ეკონომიკას“ - ბიზნესის წინსვლისა და შესაბამისად ახალი, ინოვაციური სამუშაო ძალის გაჩენა სწორედ ამ მარტივი ფრაზით უნდა ვივარაუდოთ . მსოფლიო ასე ახლოს ციფრულ სამყაროსთან არასდროს მდგარა, როგორც დღეს. შესაბამისად, მან ახალ რელსებზე გადაიყვანა როგორც დამსაქმებელი, ასევე დასაქმებულიც. ამიტომ, ძნელი იქნებოდა არ შეგვემჩნია შრომის ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები. სამართლიანად უნდა ითქვას, რომ ციფრული სამყაროს განვითარებამ დიდწილად განსაზღვრა მსოფლიო ეკონომიკის ზრდა, უფრო მეტი სამუშაო ადგილი გააჩინა და ისეთ პროფესიებს მიანიჭა პრიორიტეტი, რომელთაც ათი წლის წინ არც კი ვიცნობდით. შეიძლება ითქვას, რომ ახალმა პროფესიებმა ბევრი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი და დაკარგვის პირას მყოფი პროფესიებიც კი ჩაანაცვლა. გთავაზობთ რამდენიმე მათგანის დასახელებას:

1.ციფრული მარკეტინგის სპეციალისტი - მარკეტინგის ინდუსტრია ერთ-ერთია, რომელმაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში ფენომენალური ცვლილებები განიცადა და განვითარება არც შეუწყვეტია. დღეს ის მთლიანად განახლებულია- ბეჭდვითი მარკეტინგი, ქსელური მარკეტინგი, პირდაპირი მარკეტინგი, ბრენდინგი და ასობით სხვა გზა არსებობს პროდუქტებისა და მომსახურების ბაზარზე გაყიდვისთვის. ციფრული მარკეტინგის მენეჯერი გეგმავს და ხელმძღვანელობს კომპანიის მარკეტინგის გეგმის ციფრულ ელემენტებს. როგორც მენეჯერი, ისინი პასუხისმგებელნი არიან ციფრული მარკეტინგის კუთხით კომპანიის მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში. მრავალჯერადი მარკეტინგის განყოფილების დიდ კომპანიებში, ციფრული მარკეტინგის მენეჯერს ასევე სჭირდება კოორდინაცია ბეჭდვითი მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის გუნდებთან, რომ დარწმუნდეს, რამდენად სწორადაა კომპანიის მარკეტინგული მიზნები ორიენტირებული და თანმიმდევრული.

2.სოციალური მედიის მენეჯერი - დღეს დიდი ბრენდები, პოლიტიკური თუ არასამთავრობო ორგანიზაციები Instagram-ზე, Facebook-ზე, Twitter-სა თუ Youtube-ში ბრენდის პრეზენტირებასა და რეკლამას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან იციან, რომ კარგად წარმოებული სოციალური მედიის კამპანია დიდ ეფექტს ახდენს კომპანიის იმიჯზე. ამ გვერდების სამართავად ისინი სოციალური მედიის მენეჯერს ქირაობენ. სოციალური მედია ძალიან ადრეც იყო სამუშაო სფეროში შემოსული. ახლა მოზარდების თითქმის სამი მეოთხედი სოციალურ მედიაში იმყოფება გარკვეული ფორმით. სწორედ ამან შეუქმნა სამსახური სოციალური მედიის მენეჯერს, რომლის ერთადერთი პასუხისმგებლობა კომპანიის სოციალური ქსელების მენეჯმენტია. მხოლოდ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აღიარდა სოციალური მედიის მნიშვნელობა, რამაც საბედნიეროდ, ციფრულ სამუშაო გარემოს უამრავი სამუშაო ადგილი მოუტანა.

3. ბლოგერი - ბლოგები სხვადასხვა ფორმით დაახლოებით 90-იანი წლების ბოლოდან გვხდება. თავიდან ისინი ინტერნეტ - დღიურების სახით გახდნენ ცნობილები, მაგრამ ბლოგებმა პოპულარობა მოიპოვა 2000 - იანი წლების დასაწყისში და უფრო ფართო აუდიტორიის შემოკრება საინტერესო შინაარსის მქონე პროდუქტის ირგვლივ შეძლო. თუმცა მაინც, ბლოგინგი, როგორც პროფესია, შედარებით გაუგებარი იყო. შეიძლება ეს ყურისთვის ცუდად ჟღერდეს, მაგრამ თქვენი ჰობის შემოსავლის წყაროდ ქცევა ნამდვილად შესაძლებელია.

4. SEO- ს სპეციალისტი - ადამიანების უმრავლესობამ ალბათ არც კი იცოდა, რა იყო SEO. რას აკეთებს საძიებო სისტემის ოპტიმიზაციის სპეციალისტი? მათი მთავარი როლი ვებსაიტების და შინაარსის ძიების ოპტიმიზაციის ამაღლებაა. SEO- ის სპეციალისტი ყურადღებას გაამახვილებს თქვენი ვებ - გვერდის გაუმჯობესებაზე, მასზე ძიების შედეგების სასურველ, პირველ გვერდზე გამოტანისა და ამ სისტემის მუდმივ განახლებაზე, რათა ის რეგულარულად გამოჩნდეს საკვანძო სიტყვების ძიებაში.

5. აპლიკაციის დიზაინერი - მობილური პროგრამები მხოლოდ ბოლო რამდენიმე წელია, რაც გამოჩნდა. IOS App Store- მა, ისევე როგორც Google Play- მა ციფრულ ეკონომიკაში უამრავი ახალი სამუშაო ადგილი შექმნა. მობილური პროგრამები ახლა უფრო და უფრო ხშირად გვხვდება და სმარტფონის მომხმარებლები მათ ყოველდღიურად ჩამოტვირთავენ. გასულ წელს Apple-მა ისტორიული 50 მილიარდიანი აპლიკაციის ჩამოტვირთვა განახორციელა. აპლიკაციების დიზაინერებს საინტერესო გამოწვევა აქვთ დიზაინის გრაფიკისა და ზოგადად, კრეატივის შექმნის კუთხით, ახალი პროგრამებისა თუ აპლიკაციების განახლებებისთვის, რათა ჩვენ მუდმივად განვაახლოთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი სმარტფონების შესაძლებლობები.

6. პრომბრამისტი - პროგრამების დიზაინერთან და პროგრამის შემქმნელთან თანამშრომლობა არის ის, რაც აწარმოებს პროგრამებს, რომელსაც იყენებთ თქვენს ტელეფონში. მას შემდეგ, რაც აპლიკაციის დიზაინერი დაასრულებს მუშაობას, ისინი ყველაფერს გადაუგზავნიან პროგრამის შემქმნელს, რომელიც შეასრულებს დიზაინს კოდურად. შედეგი? ახალი აპლიკაცია. დეველოპერი იღებს დიზაინს და აყენებს აპს,

ასე რომ, ძირითადად, სცენის უკან ყველაფერი, რაც თქვენ ვერ ხედავთ - არის ის, რასაც თქვენი საყვარელი პროგრამების ამოქმედება და სმარტფონებამდე მოტანა შეუძლია.

7. დიდ მონაცემთა ანალიტიკოსი - პირველ რიგში, რა არის „დიდი მონაცემები“? უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ეს ეხება „სტრუქტურირებული, ნახევრად სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული მონაცემების მოცულ რაოდენობას, რომელსაც აქვს ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა“. როგორც წარმოგიდგენიათ, ეს მოიცავს მონაცემების დიდ არეალს და ამიტომ საჭიროებს ანალიტიკოსის მუშაობას. როგორც ამბობენ, დიდი მონაცემების ანალიტიკოსებს აქვთ საინტერესო სამუშაო, რადგან ცდილობენ მიიღონ და დაამუშავონ ის საჭირო ინფორმაცია, რომელიც მათ კომპანიას კონკურენციის გაწევაში დიდ დახმარებას გაუწევს.

8. შრომითი ბაზრის მონაცემთა მკვლევარი - თქვენი ბაზრის გაგება წარმატებული ბიზნესის გასაღებია, ამიტომ სწორედ აქ იწყება ბაზრის კვლევის მონაცემების მკვლევარის სამუშაოც. ისინი შეაფასებენ თქვენს მარკეტინგს, თქვენს ურთიერთობებს და ა.შ. და მოგაწვდიან მოკლე ანგარიშს, თუ რა მუშაობს და რა არ შეიცავს თქვენი პროდუქტის მარკეტინგი. მრავალფეროვანი გამოცდილებით, ისინი კომპანიის მუშაობის შესახებ სრულ მონაცემებს წარმოგიდგენენ, რითაც უკეთ შეძლებთ თქვენს სამუშაო სფეროში საკუთარი ადგილის შეფასებას. დღეს, ვიდრე ოდესმე, უფრო მნიშვნელოვანია იცნობდეთ საკუთარ ბაზარს მასში უკეთ ოპერირების მიზნით.

9. ინსტაგრამ ინფლუენსერი (Instagram Influencer) - ადრე, მსოფლიო ბრენდების რეკლამებს მხოლოდ ცნობილი ადამიანები აკეთებდნენ. 2010 წელს ეს ტენდენცია ბაზარზე Instagram-ის გამოჩენამ შეცვალა. მალე ზოგიერთი მომხმარებლის გამომწერთა რაოდენობა ისე გაიზარდა, რომ მსოფლიო ბრენდებმა რეკლამისათვის მათი Instagram გვერდი აირჩიეს. არც „ინფლუენსერების“ პოპულარობამ დააყოვნა. დღეს ზოგიერთი მათგანი საკუთარ კოსმეტიკის ხაზს აწარმოებს, ზოგიც კი საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით წიგნებს წერს. ბოლო კვლევების მიხედვით, ბრიტანეთში მცხოვრები 11-დან 16 წლამდე ბავშვების საოცნებო პროფესია სოციალური მედიის „ინფლუენსერობაა“. სიტყვა „Influencer“ კი ლექსიკონს ოფიციალურად მხოლოდ ახლახანს, 2019 წელს დაემატა.

10. იუთუბერი (Youtuber) - Youtube მსოფლიო ბაზარზე 2005 წელს გამოჩნდა. ბევრმა „იუთუბერმა“ ამ პლატფორმაზე ვიდეოების ატვირთვა ოჯახისა და მეგობრებისათვის სწორედ მაშინ დაიწყო. ძალიან მალე მათი გამომწერთა რაოდენობა გაიზარდა. მათ Youtube არხებს მაყურებლები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან გამოუჩნდნენ. ის საქმე, რომელიც ადრე მათთვის ჰობი იყო, ახლა პროფესიად იქცა. „იუთუბერები“ ფულს Google Adsence პარტნიორობის პროგრამის, სპონსორებისა და სხვადასხვა კომპანიასთან პარტნიორობის საშუალებით გამოიმუშავებენ. Forbs-ის მიხედვით, 2017-2018 წლებში 10-მა ყველაზე პოპულარულმა „იუთუბერმა“ ჯამში 180 მილიონი დოლარი გამომუშავა.

გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, თუ რას ფიქრობენ ახალგაზრდები პროფესიების არჩევასთან დაკავშირებით, რა არის გადამწყვეტი პროფესიის არჩევისას და როგორ აფასებენ ისინი ახალ, ციფრულ პროფესიებს, მათ გავლენასა და მნიშვნელობას დღევანდელ მსოფლიოში.

მარიამ ბატიაშვილი, მომავალი აბიტურიენტი: „მომავალი პროფესია უკვე არჩეული მაქვს. ჩემს არჩევანზე უდიდესი გავლენა მოახდინა ჩემი ძალიან ახლო ნათესავის, რომელიც შშმ პირია, მდგომარეობამ. მას მთელი ბავშვობა ვუყურებდი. უბრალოდ მიჩნდებოდა ძალიან ბევრი კითხვა მის დაავადებასთან დაკავშირებით. მას რომ ბავშვობიდან ოკუპაციური თერაპიის მცოდნე ადამიანი დასგომოდა გვერდში, შეეცდებოდა საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენასა და უნარების განვითარებას. ამ პროფესიის ადამიანი დღეს ძალიან ბევრ ბავშვს სჭირდება, მაგრამ ისინი საქართველოში საკმარისი რაოდენობით არ არიან. საბედნიეროდ, გაიხსნა დედოფლისწყაროში ოკუპაციური თერაპიის ცენტრი, სადაც შშმ პირებს აქვთ შესაძლებლობა, მივიდნენ და ჩაერთონ სხვადასხვა განმავითარებელ აქტივობებში. მეც გამიჩნდა ძალიან დიდი სურვილი, რომ ასეთ ბავშვებს დავეხმარო და საკუთარი შესაძლებლობები უფრო კარგად დავანახო. ჩემი აზრით, მთავარი პროფესიის არჩევისას არის ის ფაქტები და მოვლენები, რაც შენ გარშემო ხდება. ახალ პროფესიებს კი ჩემი აზრით, კარგი ის აქვთ, რომ ჰობი შეგიძლია შემოსავლის წყაროდაც აქციო. დააგროვო გარკვეული კაპიტალი. თან ადვილიცაა მუშაობა, განსაკუთრებით ბლოგერებისთვის. ეს პროფესია საქართველოში ძალიან პოპულალური გახდა. თუმცა, ნაკლიც აქვს ციფრულ პროფესიებს: მუდმივად ტექნიკასთან გიწევს მუშაობა, რაც ადამიანისთვის საზიანოა. მისი გამოსხივება და ა.შ. ამასთანავე, ვფიქრობ, რომ მათ ტრადიციული პროფესიებიც ძალიან მარტივად ჩაანაცვლეს, რადგან ჩემი თაობის ბავშვები უფრო მეტად ვართ დაინტერესებულები სოციალური ქსელით და ასათვისებლადაც უფრო ადვილია ეს პროფესიები ჩვენთვის“.

თამუნა ალადაშვილი, აბიტურიენტი: „პირველ რიგში, გეტყვი იმას, რომ ჩემი მომავალი პროფესია ჩემი ინტერესებიდან გამომდინარე ავარჩიე. ის, რაც მომწონდა, მიზიდავდა და მინდოდა. რაც შეეხება ახალ დამკვიდრებულ პროფესიებს, მივესალმები მათ გამოჩენას. შეიძლება მე არ მიფიქრია, რომ მსგავსი რაღაც გამეკეთებინა, მაგრამ ბევრისთვის საინტერესოა და, რაც ყველაზე მთავარია, მომგებიანია. ფინანსური კუთხით ვამბობ. თუ შენი საქმე გიყვარს და მას მთელი გულით აკეთებ, ყველაფერი გამოგივა. არ მგონია, რომ ამ ახალმა პროფესიებმა ძველი, ასე ვთქვათ „ტრადიციული“ პროფესიები ჩრდილქვეშ მოაქცია. არა. ბევრი პროფესიაა,რომელიც ყველა დროში მოთხოვნადია. უბრალოდ ვფიქრობ,რომ ახალი პროფესიები კარგი ალტერნატივაა იმ შემთხვევაში, თუ ვთქვათ შენს არჩეულ პროფესიაში “არ გაგიმართლა”. თავისუფლად შეგიძლია რომ მსგავსი რაღაც გააკეთო. რაც შეეხება სოფლის მეურნეობაში არსებულ პროფესიებს, ამ შემთხვევაში მართლა ვფიქრობ, რომ ისეთი პროფესიები ,რომლებიც სოფლის მეურნეობის განვითარებისთვისაა აუცილებელი, მართლაც გაქრობის პირასაა. უხეშად რომ ვთქვა, დღეს სოფელი აღარავის უნდა. თითქოს ყველას ეზარება მუშაობა და მნიშვნელოვნად არავის მიაჩნია ასეთი პროფესიები. განვითარებას რაც შეეხება- ადამიანმა უნდა გაითავისოს და მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ ისეთი ქვეყნისთვის, როგორიცაა საქართველო, აუცილებელია მსგავსი პროფესიები. ჩემზე, როგორც ასეთი, გავლენა ამ ციფრულ პროფესიებს არ აქვს. ვფიქრობ, გავლენა რომ ჰქონდეს, ერთხელ მაინც მომინდებოდა ალბათ მსგავსი რაღაც გამეკეთებინა. დადებითი რაც აქვს, ალბათ ისაა, რომ ისინი კარგი გამოსავალია იმ ადამიანებისთვის, ვისაც ვერ გაუგია ან ჯერ არ იცის, რა გააკეთოს. ან არ აქვს იმის ფინანსური საშუალება, რომ ისწავლოს უნივერსიტეტში. უარყოფითი ის, რომ ხშირად კრიტიკის, ბულინგის ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მსხვერპლნი ხდებიან.“

ელენე მარტყოფლიშვილი, მე-2 კურსის ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტის სტუდენტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი: „საკმაოდ ბევრი ვიფიქრე პროფესიის არჩევისას. ზოგადად, ბიზნესი იმიტომ ავირჩიე, რომ დაინტერესებული ვარ ამ სფეროთი. თანაც დასაქმების მხრივ საკმაოდ პერსპექტიულია. ვფიქრობ, რომ პროფესიის არჩევისას მთავარია საბოლოო გადაწყვეტილება შენ გეკუთვნოდეს. ვგულისხმობ იმას, რომ შესაძლოა ახლო ადამიანებმა რჩევის სახით შენი თავი სხვადასხვა სფეროში დაგანახონ, თუმცა, რაც გულით გინდა, იმ საქმიანობას უნდა გაყვე. რაც შეეხება ახალ ციფრულ პროფესიებს, ვფიქრობ, რომ მათი შექმნა აუცილებელი იყო. მათი საშუალებით (უფრო მეტად ქალებს) ეძლევათ ფართო მასშტაბის შესაძლებლობები. ბიზნესის კუთხით რომ შევხედოთ, ინფლუენსერები ძალიან დიდ როლს თამაშობენ ბიზნესის განვითარებაში. ერთ-ერთ ინფლუენსერთან მაქვს შეხება და ვიცი, რომ ბრენდებს ძალიან დიდ დახმარებას უწევს რეკლამირების მხრივ. უარყოფით მხარედ შემიძლია დავასახელო ის, რომ გავლენიანი ადამიანები ინდოქტრინაციის მთავარ წარმმართველ ძალად იქცნენ. ნაწილობრივ ჩაანაცვლეს და მომავალში ალბათ უფრო მეტად ჩაანაცვლებენ ბევრ რამეს. თუნდაც ავიღოთ HR მენეჯერი, რომელიც ბოლო პერიოდის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ მზარდი ტემპით განვითარებადი პროფესია იყო. ინფლუენსერებმა სწორედ ამ სფეროს გადაფარვა და ჩანაცვლება დაიწყეს და მიზანსაც მზარდი ტემპით აღწევენ. ციფრული სამყარო კი რას გვიმზადებს, წინასწარ განსაზღვრა საკმაოდ რთულია, თუმცა, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ძალიან ცოტა ახალგაზრდა ადამიანი ვიცი, ვისაც ან აგრარული ბიზნესის წარმოება, ან ვეტერინარობა სურდეს. ამიტომ საჭიროა უფრო მეტი წამახალისებელი და მასტიმულირებელი პროგრამების დანერგვა, რითაც ახალგაზრდებს გაუჩნდებათ აგრარული საქმიანობის წამოწყების სურვილი ციფრულ სამყაროსთან თანხვედრაში. ციფრული საშუალებებით ადამიანებზე გავლენის მოხდენა საკმაოდ მარტივია. ინსტაგრამზე ბევრი ინფლუენსერი მეგობარი მყავს, რომლებიც სხვადასხვა პროდუქტებსა თუ ბრენდებს უწევენ რეკლამირებას და ხშირ შემთხვევაში, ჩემი დაინტერესებაც გამოუნვევიათ. ინფლუენსერებს ზუსტად აქვთ გათვლილი დიდ აუდიტორიაზე, როგორ და რა ხრიკებით უნდა მოახდინონ გავლენა და მათი მოქმედების ხარისხიც საკმაოდ მაღალია.“

ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ციფრულმა სამყარომ ჩვენი ყველას რეალობა შეცვალა, ცვლის და მომავალშიც შეცვლის. ციფრული პროფესიების გამოჩენა ამ ცვლილებების მხოლოდ ერთი, ალბათ, მცირე ნაწილია და უფრო დიდი, მასშტაბური მოვლენების წინაპიროობადაც კი შეგვიძლია მივიჩნიოთ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ძველი, „ტრადიციული“ პროფესიები ისტორიის ფურცლებს გავატანოთ. ძველსაც ისევე სჭირდება მოფრთხილება, როგორც ახალს. ეს კი ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს სრულიად მსოფლიო საზოგადოებას: ციფრული სამყარო ადამიანური სამყაროს პირისპირ!

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ხელობა სულ მუდამ საიმედოა

კარგა ხანია, ჩემი მეზობელი წუხდა, რომ მისი შავი თუნუქის სახურავი შეკეთებას საჭიროებს, მაგრამ შესაბამისი ხელოსნის ნახვა უჭირს და აი, ერთ დილას, ადრიანად, მის სახურავზე შევნიშნე კაცი, რომელიც გულდასმით ათვალიერებდა მას. მესიამოვნა, ვიფიქრე, უშოვია ოსტატი-მეთქი და მისი ვინაობით დავინტერესდი. ის ბოდბელი გიორგი, იგივე გიგლა ჯანიაშვილი აღმოჩნდა, გაირკვა, რომ ჩემი მეზობელი კარგა ხანს იდგა რიგში, რადგან გიგლა, თითქმის ერთადერთი კაცია, რომელიც ამ საქმიანობით არის დაკავებული და კახეთის რამდენიმე რაიონს ემსახურება.

- 65 წლის ვარ, მყავს ცოლ-შვილი - ქალიშვილი და ვაჟი, გოგო გათხოვილია და მისგან ორი შვილიშვილიც ჩემს გულს ახარებს. ვაჟი 31 წლისაა, დასაოჯახებელია, საჯარო მოხელე გახლავთ. ამ საქმიანობას ათეული წლებია მივდევ. ადვილი არ არის, რადგან სამუშაოები, ძირითადად, ზაფხულში სრულდება. სიცხეში იდგე გახურებულ თუნუქზე და თან მთელი დღე მუხლჩახრილმა იმუშაო, დიდ ნებისყოფას მოითხოვს. გეწვის ფეხისგულები, ზურგი, ოფლად იღვრები და... წყალიც ბოთლში უკვე ისეთი თბილია, დალევა გიჭირს. რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი. მე მივეჩვიე და შემიყვარდა კიდეც ეს საქმე. როდესაც დასრულებულ საქმეს შეხედავ, როდესაც შეღებილი, გაბზინვარებული ჭერი იმედისმომცემად გამოიყურება, რომ ოჯახი წვიმისა და ავდრისაგან დაცულია, შენი მისია შეასრულე და დიასახლისი შენს მკლავ-მარჯვენას ლოცავს, ყველაფერი გავიწყდება. ამას ის სოლიდური ანაზღაურებაც ემატება, რომელსაც ამ სამუშაოსთვის გიხდიან. ხელობა, ზოგადად, სულ მუდამ მომგებიანია. ხელოსანი მშიერი არასოდეს დარჩება. ახლა უამრავი მიმართულების ხელობა გაჩნდა - მლესავი, მღებავი, ფილის გამკვრელი, სანტექნიკოსი და სხვა მრავალი, მაგრამ თუნუქზე მუშაობის მსურველი არავინაა (თუ არ ჩავთვლით მანქანების შემკეთებლებს, რომლებიც საამქროში, შედარებით კომფორტულად მუშაობენ). ძალიან ბევრი ახალგაზრდაც და ჭარმაგი ადამიანიც უმუშევარია, ოჯახში ეკონომიური გაჭირვების გამო სულ პრობლემები აქვთ და მაინც არ უნდათ, ამ საქმეს მოკიდონ ხელი. არადა, დამხმარესთან ერთად მუშაობა გაცილებით ადვილია, ხომ გაგიგონიათ „მარტო კაცი ჭამაშიც ბრალიაო“. ჯერ დამხმარედ იმუშავებს, მერე დაოსტატდება და უსაყვედურო, ალალი ლუკმა-პური სულ ექნება. მე, მაგალითად, ვერ ავუდივარ საქმეს, ერთი დღე არა მაქვს მოცლა. კახეთის ზონაში და თვით დედოფლისწყაროშიც ძალიან ბევრი სახლის ჭერი შემიკეთებია, ამდენი საწყობები და სათავსოები სულ ჩემი დახურულია. შემოსავალიც კარგი მაქვს, ბედს არ ვემდური. ნამდვილად არ მესმის იმ ხალხის, ერთმანეთს თითო ღერ სიგარეტს რომ სთხოვენ, ან ერთი კოლოფი ლუდისთვის ვინმეს ციცოსავით რომ შეჰყურებენ და დამცირებული, ღირსებაშელახულები „ბირჟაზე“ უსაქმოდ სხედან. შე ოჯახაშენებულო, მოდი, ისწავლე ეს მადლიანი საქმე და წელში გაიმართე. ბევრი ახალგაზრდისთვის მითქვამს: წამოდი, დამეხმარე და დღეში 50 ლარს გარანტირებულს გპირდები-მეთქი, მაგრამ ვერ „შემიცდენია“, - გულახდილად მესაუბრება გიგლა.

კონკრეტულად ამ ხელობაზე არა, მაგრამ ზოგადად ხელობასა და ხელოსნობაზე მეც ბევჯერ მიფიქრია, რატომღაც, ნაკლებად პრაქტიკული ხალხი ვართ ქართველები, ამბიციურები და კუდაბზიკები, ოღონდაც ჩვენს შვილს დიპლომი ედოს და სულაც რომ ვერ გამოიყენოს, მაინც თავი მოგვწონს (ამ ბოლო დროს ეს ტენდენცია ცოტა სიკეთისკენ შეიცვალა). ამაში წლების განმავლობაში უფუნქციოდ დატოვებული პროფესიული სასწავლებლებიც გარკვეულ უარყოფით როლს ასრულებდნენ. დღეს განათლების სისტემა ინტენსიურად მუშაობს პროფესიული სწავლების განვითარებაზე, მაგრამ ცხოვრებაში საჭირო და მოთხოვნადი ყველა პროფილის სწავლება არ ხდება. ასეთი გახლავთ, თუნდაც ჩვენი საუბრის თემა-მეთუნუქეობა, ანდა, მეწაღეობა, ისინი ოსტატთან უნდა შეისწავლო. ვისურვებდი, და არა მხოლოდ ვისურვებდი, მოვუწოდებდი კიდეც ახალგაზრდებს, ხელიდან ნუ გაუშვებენ შანსს, მთელი ცხოვრება უზრუნველყოფილნი იყვნენ ალალი შრომით მიღებული, დაუყვედრებელი შემოსავლით. ვიყოთ პრაქტიკულები,

ცხოვრებას მოვერგოთ მისი საჭიროებების მიხედვით. ამაში პედაგოგებმაც უნდა შეასრულონ დადებითი როლი, პოპულარალიზაცია უნდა გაუწიონ ხელოვნებამდე აყვანილი ხელობის ფენომენს და ბავშვებს, რომლებსაც ნაკლებად შეუძლიათ თავი წარმოაჩინონ მაღალი აკადემიური მოსწრებით, მოუხსნან „დიპლომანიის“ კომპლექსი და რეალურად დაანახონ ცხოვრების პრაქტიკული და მისაღები გზა.

ნაირა გორაშვილი

„ექვთიმე თაყაიშვილის „თხზულებანის“ თორმეტ ტომეულის რედაქტორი ვარ“...

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზანტინოლოგთა ეროვნული კავშირის დამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ექსპერტი ისტორიის დარგში. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი.

ქალბატონ ნათელა ვაჩნაძეს 200-ზე მეტი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული ქართულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ ენებზე როგორც ჩვენში ისე აშშ-ში, ინგლისის გაერთიანებულ სამეფოში, საფრანგეთში, დანიაში, ბულგარეთში, რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მათ შორის მოიაზრება ბიზანტინოლოგებისა და კავკასიოლოგების, რაც მთავარია ქართველოლოგების საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებსა და კონფერენციებში წაკითხული მოხსენებების რეზიუმეები.

-ქალბატონო ნათელა, 200-ზე მეტი ნაშრომი გაქვთ გამოცემული, მათგან რომელს გამოარჩევდით?

„რუსულ ენაზე გამოცემულ მონოგრაფიას: „დავით არსენიშვილი, ესკიზები შემოქმედებითი პორტრეტისათვის, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990 წელი.“

მიხაილ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აგრეთვე რუსეთის სახელოვნებო სასწავლებლებში, სადაც ისწავლება საგანი მუზეუმთმცოდნეობა დავით არსენიშვილმა დააარსა ძველი რუსული ხელოვნებისა და კულტურის მუზეუმი, რომელსაც უწოდა გენიალური რუსი მხატვრის ანდრეი რუბლიოვის სახელი. ეს მუზეუმი მოსკოვის ცენტრშია, მდინარე იაუზის ნაპირზე მაცხოვრის სახელობის ტაძრისა და მის ირგვლივ მდებარე ძველი მონასტრის ყოფილ ტერიტორიაზე. ამ მონოგრაფიის თითქმის მთელი ტირაჟი 5000 ცალი გაიგზავნა რუსეთის მუზეუმებში: საისტორიო, ხელოვნების, მხარეთმცოდნეობის, ძველი რუსული კულტურის ცენტრებში, როგორიცაა: ნოვგოროდი, სუზდალი, ტვერი, დიდი როსტოვი, ბოგოლიუბოვი, და სხვა. არსებობს ამ წიგნის ქართული თარგმანი, გამოცემული თბილისში 2012წელს.

დავით არსენიშვილმა მიაკვლია ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის და ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ II-ის საფლავებს ასტრახანში, ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში. ეს მეფეები რომ ამ ტაძარში განისვენებდნენ, ძველი საისტორიო წერილობითი წყაროებიდან ვიცოდით, მაგრამ დავით არსენიშვილმა არამხოლოდ მიაკვლია მათ, არამედ ჩაატარა დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრები. ამ საქმეში მას დიდი დახმარება გაუწია ქართველმა კაცმა, გენერალ-ლეიტენატმა ნიკოლოზ კალაძემ, რომლის მონათხრობი დიდი ხნის წინ ჩავწერე, მაგრამ მან არ მიამბო თავისი ბიოგრაფიიდან ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი, რომელიც ჯერ არსად არ გამოქვეყნებულა. მე შევეხმიანე ჩემს კოლეგას და მრავალი წლის განმავლობაში, თანამშრომელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ირინე გოგოლაშვილს, რომელიც ცხოვრობს იმ სახლში, სადაც ცხოვრობდა ბატონი ნიკოლოზი. ჩემს შეკითხვაზე რა შეეძლო, ეამბნა, ირინემ ძალიან საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა: **„ნიკოლოზ კალაძე იცავდა სტალინგრადს. საბჭოთა ჯარისკაცებმა შეამჩნიეს რაღაც ყუთი და ყუთს ესროლეს, გადმოიყარა დიდი რაოდენობით შავი ყავა. საბჭოთა ჯარის ხელმძღვანელობამ იცოდა, რომ პაულიუსს უყვარდა შავი ყავა, რომლის ძალითაც მიადგნენ პაულიუსის ადგილსამყოფელს და ტყვედ აიყვანა პირადად ნიკოლოზ კალაძემ“.**

ჩემთვის ძალიან ძვირფასია 2014 და 2020 წელს გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ გამოცემული სამეცნიერო ნაშრომების კრებული - „დიდი ექვთიმე“, რომლის შემდგენელი, რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის წევრი გახლავართ. მე ვფიქრობ, რომ ასეთი პიროვნების შესახებ წერა, მისი სამეცნიერო მემკვიდრეობის გამოცემა დიდად საშური, მაგრამ ამავე დროს, ძალზე საპასუხისმგებლო საქმეა. ეს ყოველი ქართველი ისტორიკოსის ოცნების საგანია, მაგრამ განგებამ წილად მე მარგუნა. როგორ შეიძლება ამ გამოცემაზე ვისაუბროთ, და არ ვახსენოთ ბატონი როინი, რომლის თავაკაცობით, დიდი ძალისხმევით კეთდება საშვილიშვილო საქმე - ექვთიმე თაყაიშვილის „თხზულებანის“ თორმეტ ტომეულის სტერეოტიპული გამოცემა, რომლის მეშვიდე და მერვე ტომების შემდგენელი და რედაქტორი გახლავართ. ეს ტომები რამდენიმე თვის წინ უკვე მიიღო მკითხველმა. რაც შეეხება მეცხრე ტომს, რომლის შემდგენელი და რედაქტორი კვლავ თავად ვარ, უახლოეს დღეებში გადაეცემა გამომცემლობას. თორმეტივე ტომის მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი გახლავთ.

ინტერვიუს დასრულების შემდეგ ქალბატონმა ნათელამ დამათვალიერებინა მეუღლის გიზო ჟორდანიას სამუშაო ოთახი, სადაც ეს დიდი რეჟისორი შედევრებს ქმნიდა. კედლებიდან გვიმზერდნენ ჩარჩოში ჩასმული ზაარბრიუკენის სახელმწიფო თეატრში (გენერალური დირექტორი ჰერმან ვედეკინდი) გიზოს მიერ დადგმული ოპერების: „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“, მინდია“, „პიკის ქალი“, (კომპოზიტორები: ზაქარია ფალიაშვილი, ოთარ თაქთაქიშვილი, პეტრე ჩაიკოვსკი) აფიშები.“

გამომშვიდობებისას ქალბატონმა ნათელამ მაჩუქა საიუბილეო კრებული მიძღვნილი თამარ გამსახურდიას ნათელი ხსოვნისადმი - „მშვენიერება მოსილი სევდით“, რომლის შემდგენელი და რედაქტორი თავად გახლავთ. წიგნს არ ეღირსებოდა გამოსვლა, რადგან 2006 წელს უნივერსიტეტში გატარდა ე.წ „რეფორმა“, რომელსაც საუკეთესო საუნივერსიტეტო კადრები შეეწირა, რომ არა ისევ ბატონი როინის ძალისხმევა თამრიკო და ბატონი როინი ასპირანტურაში ერთდროულად, ერთ ხელმძღვანელთან, ბატონ შოთა მესხიასთან სწავლობდნენ. წიგნს ამშვენებს ამგვარი წარწერა:

„ქალბატონ ნანას, უსაზღვროდ შეყვარებულს ქართულ კულტურაზე. ასეთი ადამიანებით საზრდოობენ და სულიერად იზრდებიან ჩვენი რეგიონები. ძველად ასეთ ხალხს განმანათლებელს უწოდებდნენ. ქალბატონი ნანა ჩვენი დროის განმანათლებელია.“

ნათელა ვაჩნაძე
20 ივლისი, 2020 წელი
თბილისი

ინტერვიუს უძღვებოდა ნანა ჭიჭინაძე

საჯარო გამოსვლისა და დებატების კონკურსი დასრულდა

„საქართველოს ახალგაზრდული ხედვის“ ორგანიზებით დედოფლისწყაროში საჯარო გამოსვლისა და დებატების კონკურსი დასრულდა. ფინალურ ტურში ჟიურის გადაწყვეტილებით და ქულათა უპირატესობით დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე ზაქარია ჭუაძემ გაიმარჯვა. მას დედეოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა, ნიკოლოზ ჯანიაშვილმა საჩუქრად კომპიუტერი გადასცა.

ფინალური ტური დედოფლისწყაროს კულტურის სახლში ორ ეტაპად გაიმართა და ორივე მათგანი ცალცალკე შეფასდა. პირველ ეტაპზე ჟიურიმ მათი ინდივიდუალური გამოსვლა მოისმინა, შემდეგ კი ისინი ერთმანეთს დებატში გაეჯიბრნენ. პანდემიის გამო კონკურსი ცარიელ დარბაზში, მაყურებლის გარეშე, უსაფრთხოების წესების დაცვით მიმდინარეობდა.

როგორც კონკურსის ორგანიზატორებმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მასშტაბით თავდაპირველად 20 აქტიური ახალგაზრდა შეირჩა, რომელთაგან მეორე ტურში 16 მათგანი გადავიდა, მესამე ტურში სოციალურ ქსელში ხმის მიცემის პრინციპისა და ჟიურის ქულათა გათვალისწინებით 8 კონკურსანტი ფინალში მოხვდა. საკმაოდ მაღალი იყო კონკურსანტთა მხარდამჭერების აქტივობა სოციალურ ქსელში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნახევარფინალში და ფეისბუქის ლიდერთაგან ფინალის სამეულში ვერცერთი მათგანი ვერ მოხვდა.

დედოფლისწყაროს მერმა, ნიკოლოზ ჯანიაშვილმა აღნიშნა, რომ მისი სურვილია კონკურსმა ტრადიციული სახე მიიღოს და ყოველწლიურად ჩატარდეს.’

„პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებისა და არდადეგების გამო, შესაძლოა, მასშტაბური ჩართულობა არ იყო, მაგრამ, ჩვენი პირველი მცდელობა ვფიქრობ ძალიან საინტერესო გამოვიდა და მინდა მომავალ წელსაც ჩავატაროთ. იმედია, პანდემია აღარ იქნება და ბევრად დიდი ჩართულობით შევძლებთ კონკურსმა ფართო მასშტაბები შეიძინოს. თუმცა, მახარებს ისიც, რომ ამჯერად, ფინალში თითქმის დედოფლისწყაროს ყველა ზონის ახალგაზრდა მონაწილეობდა,“ - განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ჟიურის ერთ-ერთი წევრი, დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი ილია მარტყოფლიშვილი ამბობს, რომ მოკლე ხანში კონკურსანტებმა უნარჩვევები მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს.

„მოხარული ვარ, რომ ამ მოკლე ხანში კონკურსანტები ძალიან გაიზარდნენ და ბევრი უნარი დახვეწეს. წინა ტურებში შენიშვნებს ვაძლევდით იმასთან დაკავშირებით, რომ მომზადებული მასალა საჯარო გამოსვლის დროს არ უნდა წაეკითხათ და მეტი კომუნიკაცია ჰქონოდათ აუდიტორიასთან. ანალოგიური შენიშვნა მივეცი წინა ტურში ფინალის გამარჯვებულსაც, რომელიც საფინალო გამოსვლაზე ბევრად გაზრდილი და დახვეწილი წარსდგა ჩვენს წინაშე. ამ პროექტის მიზანიც სწორედ ეს იყო, რომ მათ პრაქტიკული გამოცდილება მიეღოთ და საჯარო გამოსვლისა და დებატებისთვის საჭირო უნარები განევითარებინათ. ვფიქრობ, ამ პროექტმა გაამართლა და თავისი მისია შეასრულა. საბოლოო ჯამში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ნახევარფინალშიც კი ყველა გამომსვლელი ბიჭი მომზადებულ ტექსტს კითხულობდა და აუდიტორიასთან სათანადო კონტაქტს ვეღარ ახერხებდა. გოგონებს არ მიუმართავთ ტექსტის კითხვისთვის. ტრიბუნიდან წაკითხული ტექსტი კი ძალზე ხელოვნურია და სპიკერის გამოსვლას ნაკლებად დამაჯერებელს ხდის. ძალიან მახარებს ის ფაქტი, როდესაც ახალგაზრდები სტუდენტობის და დედაქალაქში ცხოვრების პარალელურად მჭიდრო კავშირს ინარჩუნებენ მშობლიურ კუთხესთან. ცდილობენ მცირე ასაკიდანვე საკუთარი წვლილი შეიტანონ მის განვითარებაში. როცა მოზარდს მიგრაციის პრობლემა და მშობლიური რეგიონის განვითარება ამ ასაკშიც აღელვებს, ეს ძალზე მნიშვნელოვანია. ასეთი აქტიური ახალგაზრდები ბევრნი არ არიან, მაგრამ საბედნიეროდ არსებობენ. არადა, სამწუხაროდ, დღეს ასეთი რეალობა გვაქვს, რომ მოზარდების უმრავლესობა საერთოდ არ ფიქრობს და არც აღელვებს მშობლიური კუთხის ბედი, ისინი არც უკან დაბრუნებაზე ფიქრობენ,“ - აღნიშნავს ილია მარტყოფლიშვილი.

დედოფლისწყაროს სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორმა აკაკი ნატროშვილმა კონკურსანტებს სიურპრიზი მოუწყო და აღნიშნა, რომ ნახევარფინალში მონაწილე 16 ახალგაზრდას სამდღიანი ექსკურსიით უზრუნველჰყოფს.

კონკურსის საბოლოო შედეგების მიხედვით მეორე ადგილი დაიკავა ანი თედდეევმა, ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდა ნინო წიკლაურს.

პროექტი „საქართველოს ახალგაზრდულმა ხედვამ“, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ და დედოფლისწყაროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრმა დაიწყო. პროექტის პარტნიორია „საქართველოს ტრენერთა ასოციაცია“ და „კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი“.

ზურაბ გოგოშვილი, („საქართველოს ახალგაზრდული ხედვის“ დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი): „საინიციატივო ჯგუფი „საქართველოს ახალგაზრდული ხედვა“ 2019 წლიდან აქტიურად მუშაობს არაფორმალური განათლების სექტორში და მისი მიზანია ჩვენი გამოცდილების გაზიარება სხვა ახალგაზრდებისთვის. საინიციატივო ჯგუფი საქართველოს მასშტაბით მუშაობს, თუმცა „საჯარო გამოსვლისა და დებატების კონკურსი“ პირველად ჩავატარეთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, რადგან გამოცდილების გაზიარება და ამ სიახლის დანრგვა პიველ რიგში ჩემი რაიონის ახალგაზრდებისთვის მინდოდა. ჩვენი საინიციატივო ჯგუფის მიერ განხორციელებული პროექტი „საჯარო გამოსვლისა და დებატების კონკურსი დედოფლისწყაროში” იყო საკმაოდ მასშტაბური და შედეგიანი. თითოეული პროექტის დასრულების შემდეგ მონაწილეებისგან ვიღებთ უკუკავშირს და ვიგებთ რამდენად კმაყოფილები არიან და გრძნობენ თუ არა პროგრესს. სწორედ მათი შეხედულებებიდან გამომდინარე ვადგენთ პროექტის ფასეულობას. **მინდა თამამად ვთქვა, რომ აღნიშნულმა კონკურსმა აჩვენა ის შედეგი, რისი მოლოდინიც ჩვენს ჯგუფს ჰქონდა. პროექტის მიზანი იყო პანდემიის პასიური პერიოდის დროს გაგვეკეთებინა რაღაც ისეთი, რაც გააააქტიურებდა ახალგაზდებს და არ მისცემდა მოდუნების საშუალებას. მონაწილეებს კონკურსის დაწყებამდე ჩავუტარეთ ტრენინგი საჯარო გამოსვლის და დებატების ტექნიკასთან დაკავშირებით. ასევე, გავუზიარეთ გამოცდილება, თუ როგორ დათრგუნონ პუბლიკის წინაშე საკუთარი აზრის დაფიქსირების სირთულე.** მინდა აღვნიშნო შესანიშნავი შედეგი კონკურსიდან. თვალსაჩინო იყო ის პროგრესი, რომელსაც კონკურსანტები განიცდიდნენ ტურიდან ტურამდე. მათი ვერბალური თუ არავერბალური კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება და პუბლიკასთან ურთიერთობის უნარები ბევრად გაუმჯობესდა. კონკურსანტების მსგავსად ორგანიზატორებმაც ძალიან დიდი გამოცდილება მივიღეთ, რაც სამომავლოდ კიდევ უფრო მასშტაბური და წარმატებული პროექტების განხორციელებაში დაგვეხმარება. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და „შირაქის“ ფურცლებიდან მადლობა გადავუხადო მათ, ვინც გვერდში დაგვიდგა პროექტის განხორციელებაში. ასევეთითოეულ კონკურსანტს და პუბლიკას“.

„ფრონტერა“ VS სახელმწიფო

სხვა კრედიტორებთან „ფრონტერას“ ურთიერთობების შესახებ არსებული ინფორმაცია, რაც ჩვენს განცხადებაშია მოხსენიებული, ცნობილია და ღია წყაროებზე დაყრდნობით, მათი გადამოწმება ნებისმიერს შეუძლია. „ფრონტერას“ აქვს საკმაოდ სერიოზული ფინანსური პრობლემები. აქ საუბარია არა „ფრონტერა საქართველოზე“, არამედ „ფრონტერა ჯგუფზე, - ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ნათია თურნავამ განაცხადა.

მისი თქმით, „ფრონტერა ჯგუფში“ გარკვეული ხნის წინ ლიკვიდატორი დაინიშნა. სახეზეა ვალაუვალობის ნიშნები და მას საკმაოდ ბევრი კრედიტორი ჰყავს.

მინისტრის ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო კორპორაციამ მიიღო შეტყობინება იმის შესახებ, რომ ერთ-ერთმა კრედიტორმა ამერიკულმა კომპანიამ „ფრონტერას“ მოუგო სასამართლო დავა და ახლა აუქციონზე მისი კუთვნილი ქონების აღსრულება იწყება. საუბარია ნავთობისა და გაზის მილებზე.

„როგორც ჩანს, ესაა „ფრონტერას“ საქმიანობის ზოგადი სტილი და პრობლემა, რომ თავის ვალდებულებებს არ ასრულებს და ეს პრობლემაა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში“, - განაცხადა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

კომპანია „ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშენის“ აღმასრულებელი დირექტორი ზაზა მამულაიშვილი აცხადებს, რომ „ფრონტერასთან“ მიმართებაში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ნათია თურნავას დღევანდელ განცხადებაში უზუსტობები იყო.

მისი თქმით, გაუგებარია საძიებო ტერიტორიების რა პროცენტულობაზე საუბრობს მინისტრი.

„ჩვენთვის გაუგებარია, რა ერთ პროცენტზე და 99 პროცენტზე საუბრობდა მინისტრი. გავეცანით მის განცხადებას და სამწუხაროდ, არც ერთი წინადადება, რაც „ფრონტერასთან“ მიმართებაში წარმოთქვა, არ შეესაბამება სინამდვილეს. ასე რომ, რთულია კომენტარი ამ პროცენტულ რაოდენობებზე. მაგალითად, უზუსტობა იყო, როცა მინისტრმა ბრძანა, თითქოს, ყველა მოთხოვნა, რომელიც საარბიტრაჟო დავის დროს წამოგვიყენეს, დაუკმაყოფილა სასამართლომ, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს; თითქოს, სასამართლოს ხარჯების გადახდა დაგვეკისრა ჩვენ და ეს იმის ნიშანია, რომ წავაგეთ, რაც არ შეესაბამება სიმართლეს; თითქოს, რაღაც ვალდებულებებს არ ვასრულებდით წლების განმავლობაში, არც ეს შეესაბამება სინამდვილეს. თითოეული წინადადება, რაც ბრძანა ქალბატონმა მინისტრმა, იყო მცდარი, ცილისმწამებლური და დეზინფორმაციული“,- განაცხადა ზაზა მამულაიშვილმა.ამასთან, მისი თქმით, „ფრონტერა“ არასდროს ყოფილა და არ არის კონტრაქტის პირობების გასაჯაროების წინააღმდეგი.

„სანამ ჩვენს წინააღმდეგ არბიტრაჟში წამოიწყებდნენ დავას, მანამდე შვიდი წლის განმავლობაში გვებრძოდა სახელმწიფო, ხან ბურღვის ნებართვას არ გვაძლევდა, ხან ექსპორტს გვიჩერებდა, ხან ანგარიშს გვიყინავდა, ახლა გვაიძულეს, ხალხი გაგვეშვა სამსახურიდან. რაც გვეკუთვნის დასაბრუნებელი დღგ, რამდენიმე ათეული მლნ ლარია უკვე დაგროვილი წლების განმავლობაში, არ გვიბრუნებს“, - განაცხადა „ფრონტერას“ საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა.

მისი თქმით, კომპანიამ სახელმწიფოს დაუბრუნა ტერიტორია, სადაც არ აწარმოებდა ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების და მოპოვების სამუშაოებს.„თუ ხედავ, რომ არ არის ხელისუფლება მეგობრულად განწყობილი ინვესტიციების მიმართ, ასეთ პირობებში მუშაობა ადვილი არ არის. ბოლო შვიდი წელია, ასეთ გარემოში გვიწევს მუშაობა. ეს რომ არ ყოფილიყო, შვიდი წლის წინ ძალიან გავზრდიდით მასშტაბს და ნახევარი მილიარდი კი არა, შეიძლება, ხუთ მილიარდიანი ინვესტიცია ყოფილიყო უკვე განხორციელებული. დავუბრუნეთ სახელმწიფოს ის ტერიტორია, სადაც არ ვაწარმოებდით ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების და მოპოვების სამუშაოებს. სადაც ვაწარმოებდით, ვაგრძელებთ ჩვეულებრივ მუშაობას“, -აცხადებს მამულაიშვილი.

რაც შეეხება დასაქმებულთა სახელფასო დავალიანებას, კომპანიის ხელმძღვანელის თქმით, საუბარია დაახლოებით 70 ადამიანზე, მისი ჩათვლით.

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, აღარ მოშალოს „ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშენთან“ კონტრაქტი და შესაძლებლობა მისცეს კომპანიას, საქმიანობა განაგრძოს საძიებო ტერიტორიის ერთ პროცენტზე. აღნიშნულთან დაკავშირებით მთავრობის სხდომის შემდეგ ეკონომიკის მინისტრმა, ნათია თურნავამაც ისაუბრა.

საუბარია სახელმწიფოს საძიებო ტერიტორიის დაახლოებით 1%-ზე, რადგან ამ ტერიტორიის დაახლოებით 99% „ფრონტერამ“ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თანახმად, სახელმწიფოს უკვე დაუბრუნა.

მთავრობის სხდომის შემდეგ საკითხზე კომენტარი გააკეთა ეკონომიკის მინისტრმა. როგორც ნათია თურნავამ აღნიშნა, საქართველოს მთავრობას ჰქონდა საფუძველი, კომპანია „ფრონტერასთან“ ხელშეკრულება სრულად მოეშალა, თუმცა, მიუხედავად ამისა, კომპანიას საქართველოში 1%-ის ფარგლებში სამუშაოების გაგრძელების უფლება დაუტოვა.

ცოფი, როგორც მეგობრობის მტერი

ქუჩაში კვლავ ამაყად, მედიდური მზერით დადის. მერე რა, თუ მისი ოდესღაც მბზინავი ბალანი მზეზე ძველებურად აღარ ბრწყინავს, ამას მის ხასიათზე ოდნავადაც არ უმოქმედია. თვალები შეეცვალა მხოლოდ. სევდიანი და ჩამქრალი გაუხდა გამოხედვა. ადამიანები უყვარს და მათთან ახლოს ყოფნა უნდა. ისინი კი ერიდებიან, გაურბიან.

აი, ცოტა ხნის წინ ერთ ქალს მიუახლოვდა. მან კი გაბრაზებულმა და შეშინებულმა ჩანთა მოუღერა და დაუყვირა. ძაღლს ალერსი სწყუროდა. სულ ცოტა ტკბილი სიტყვა. არადა, ეს ქალი როგორ ჰგავდა მარიტას. მაქსს ძველი დრო გაახსენდა.

მაქსი კეთილშობილური წარმოშობის, სუფთა ჯიშის ძაღლია. დიდი ტანითა და წყლიანი თვალებით. ერთ დროს ადამიანებთან ცხოვრობდა. მისი პატრონები, მხრეგგანიერი კეთილი კაცი და მისი ლამაზი ცოლი კარგად უვლიდნენ. კაცს სანადიროდ ხშირად დაჰყავდა. ახლაც ახსოვს, მწყრეგსა თუ გარეულ იხვეგზე სანადიროდ გასვლა ერთი რიტუალი იყო, საზეიმო მზადეგის პროცესი. მონადირეეგთან ერთად მაქსს მანქანაში საპატიო ადგილი ეკავა. ნადიროგის პროცესში ხომ მთავარი ძალა იყო. მერე... მერე კი ყველაფერი წარსულად იქცა. ერთ დღეს საშინელმა აფეთქეგის ხმამ გააღვიძა. ცეცხლის წითელმა ენამ შთანთქა მათი საცხოვრეგელიც და მისი პატრონეგიც. მაქსი ალმოდეგულ სახლში შევარდა, მაგრამ ძლიერმა ტალღამ უკანვე გადმოაგდო. როცა გონს მოეგო, ირგვლივ ყველაფერი ნახშირად ქცეულიყო.

კარგა ხანს არ ეთმობოდა ნამოსახლარი. იქ ცხოვრობდა და ყარაულობდა ნაცნობ, უკვე ცარიელ ადგილს. შიმშილმა შეაწუხა და იძულებული გახდა, იქაურობა დაეტოვებინა. მერე სხვა ძაღლებს შეხვდა, სხვადასხვა ისტორიებით. „საძმო“ შექმნეს და ერთმანეთს ეხმარებოდნენ. როცა პატრონი აღარ გყავს, მხოლოდ ერთმანეთის გვერდში დგომა თუ გადაგალახინებს პრობლემებს. დიახ, ძაღლების სამყაროშიც ბრძოლაა გადარჩენისთვის, საჭირო არეალის მოპოვებისთვის, ნაგვის ბუნკერებისთვის, სადაც მათი საკვები მოიპოვება...

გარემოებათა მსხვერპლი მაქსი იქცა მაწანწალად, ქუჩის რიგით ძაღლად.

ადამიანები მას უფრთხოდნენ, იმის მიუხედავად, რომ აგრესიული არ იყო. ადამიანები მას არ ენდობოდნენ, მაგრამ მას მაინც უყვარდა ისინი, თავის გარდაცვლილ, მოსიყვარულე პატრონებს აგონებდნენ. ახლაც ხედავს, როგორ გადმოდის ქუჩაზე პატარა გოგონა, პურით ხელში. ოთხი ძაღლი მისკენ გამოენთო. მაქსი გოგონას აეკრა, ძაღლებს ერთი გადახედა და ბავშვი ქუჩის მეორე მხარეს გადააცილა. გოგონამ ვერაფერი მოიმოქმედა, მაგრამ მაქსმა დაინახა, როგორ გაუხდა ბავშვს შიშისგან საცრისოდენა თვალები...

არ გაჰკვირვებია. ახლაც, ის რომ არ გამოსარჩლებოდა, მისი აგრესიული მეგობრები გოგონას პურსაც წაართმევდნენ და გვარიანადაც შეაშინებდნენ. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში საქმე უფრო ცუდად დასრულდებოდა. გოგონა საავადმყოფოში აღმოჩნდებოდა.

მაქსისთანა ძაღლეგი ქუჩაში სანთლით საძეგნელია. უმრავლესოგა აგრესიული და საშიშია. მათი ავად მომზირალი თვალეგისა და დაგჩენილი პირის მიღმა შიშზე და ნაკგენზე გაცილეგით საშიში დაავადეგა იმალეგა, სახელად – ცოფი.



მაწანწალა ძაღლების რიცხვის ზრდაზე აქტიურად საუბრობენ დედოფლისწყაროში. მათ გამრავლებას ვერც კორონავირუსმა და ვერც თავსახურიანმა ნაგვის ბუნკერებმა შეუშალა ხელი. ახალ კორონავირუსთან ერთად სხვა დაავადების გაჩენის რისკზე ალაპარაკდნენ ინფექციონისტები. ქვეყნის მთავარმა ეპიდემიოლოგმა ღიად განაცხადა, რომ ცოფის გავრცელების საშიშროება რეალურია.

მოსახლეობა მაწანწალა ძაღლების პრობლემის მოგვარებას ნებისმიერი მეთოდის გამოყენებით ითხოვს. ძაღლების უფლებათა დამცველები კი მათი რიცხვის შემცირებას არაცივილური, მოძველებული მეთოდებით აპროტესტებენ და ხელისუფლებასაც და საზოგადოებასაც თანამედროვე, ცივილური მეთოდებისკენ მიუთითებენ.

კახეთის რეგიონში, კერძოდ კი გურჯაანში, ძაღლების თავშესაფრის მშენებლობა დასასრულს მიუახლოვდა, თუმცა, ფუნქციონირების დაწყებისთვის მრავალი ფაქტორის დაკმაყოფილებაა საჭირო.

დედოფლისწყაროში ძაღლების ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია მიმდინარეობს. როგორც სურსათის უვნებლობის ადგილობრივ წარმომადგენლობაში აცხადებენ, ეს აცრები გეგმიურია და დედოფლისწყაროში ცოფის გავრცელების რისკი არ არსებობს.

მანამდე კი, სანამ უპატრონო ძაღლების თავშესაფარი ფუნქციონირებას დაიწყებს, ხელისუფლება და ვეტერინარიის სამსახური ცოფის გავრცელებას პრევენციული ღონისძიებებით - აცრებით ებრძვიან.

ინგა შიოლაშვილი

უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

ბარბარე გორაშვილს!

დედას დიდო სიხარულო, ტკივილის დიდო მალამო, შენ უკვე ექვსი წლის გახდი, გილოცავთ დაბადების დღეს, და ახალი სასწავლო წლის დაწყებას, პირველი კლასის მოსწავლე უნდა გახდე, გევლოს ლამაზი და ია ვარდებით მოფენილ გზაზე. ყოველი შენი დღე მზის სხივით იყოს გაბრწყინებული. ჩვენ ვხარობთ შენით, ლამაზი და სპეტაკი სიყვარულით იყავ შენს დედიკოსთან ერთად. გფარავდეს წმინდა ბარბარე, შენი ბედის ვარსკვლავს სულ ებრწყინოს ცის კამარაზე.

დედა: ნინო, **პაპა-ბებო -** ვისელი და მაყვალა, **ბიძა და ბიცოლა -** შენგელი და ნინო; **ბიძაშვილები:** მარიამ და სალომე გორაშვილები.

პასუხი ხორცით მოვაჭრეებს!

გაზეთ „შირაქის“ №24 ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით **„მოდი, ვნახოთ ხორცი“,** სადაც საუბარი იყო სურსათის უვნებლობის სამსახურის მიერ გატარებულ ღონისძიებებზე. კერძოდ, აღნიშნულმა სამსახურმა დაავჯარიმა ხორცით მოვაჭრეები, რომელთაც არ ჰქონდათ ფორმა №2. ამავე წერილში, ხორცით მოვაჭრეები იმ მიზეზებზე საუბრობდნენ, რის გამოც ისინი თავს იკავებენ ხორც-კომბინატში საქონლის დაკვლისგან.

წერილის დაბეჭდვის შემდეგ, გაზეთ „შირაქს“ დაუკავშირდა დედოფლისწყაროს ხორცკომბინატის ხელმძღვანელი ვაჟა ნატროშვილი, რომელმაც უსაფუძვლო უწოდა ხორცით მოვაჭრეების არგუმენტებს და ისინი ტყუილში დაადანაშაულა. **„დედოფლისწყაროს ხორცკომბინატში ნებისმიერი საქონლის დაკვლა, წონის მიუხედავად, 30 ლარი ღირს და არც ერთი ლარით მეტი. ამ ღირებულებაში შედის დაკვლა, გაციება და ვეტერინარის მომსახურება.“** - განაცხადა გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ვაჟა ნატროშვილმა.

ამინდი დედოფლისწყარო

ორშაბათი 25.07		სამშაბათი 26.07		ოთხშაბათი 27.07		ხუთშაბათი 28.07		პარასკევი 29.07		შაბათი 30.07		კვირა 31.07	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
28°	21 °	29°	26 °	30 °	26 °	28 °	24°	29 °	25 °	28 °	24 °	30 °	18°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.